ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **ახალი და უახლესი ისტორია**

თორნიკე ქასრაშვილი

ისრაელი და არაბული სამყარო XX საუკუნის 60-70-იან წლებში

ნაშრომი შესრულებულია **ისტორიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ისტორიის დოქტორი - კახაბერ ყალიჩავა

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომები, კერძოდ „ექვსდღიანი ომი“ და „იომ-ქიფურის“ ომი.

გაშუქებულია ებრაული სახელმწიფოს წინარეისტორია, ხაზგასმულია, რომ ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის კონფლიქტი ეფუძნება სიონიზმისა და არაბული ნაციონალიზმის ზრდას XIX საუკუნის ბოლოს. ტერიტორიას ებრაელები საკუთარ სამშობლოდ, ხოლო პანაარაბისტული მოძრაობა პალესტინელი არაბების ისტორიულ კუთვნილებად მიიჩნევენ. მათ შორის მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, 1948 წლის მაისში, გამოცხადდა თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს შექმნა.

ნაშრომში ფართოდაა განხილული „ექვსდღიანი ომის“ წარმოშობის მიზეზები და მისი შედეგები, ასევე „იომ-ქიფურის ომის“ მიმდინარეობა და მისი გეოპოლიტიკური შედეგები.

მიუხედავად სამშვიდობო და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებებისა, არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის ტერიტორიული კონფლიქტი ჯერაც არ დასრულებულა, რაც აღნიშნულ პრობლემას აქტუალობას უნარჩუნებს დღესაც.

ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, სამი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

Annotation

In previous master's thesis is discussed the most important problem of world history - the wars of Israel and the Arab world, in particular “The Six Day “ war and “ The Yom Kippur” war.

Covering the prehistory of the Jewish state, it emphasizes, that the conflict between Israel and the Arab world is based on the rise of Zionism and Arab nationalism in the late 19th century. The Jews consider the territory their homeland, and the Pan-Arab Movement a historic belonging to the Palestinian Arabs. In spite of the fierce controversy between them, in May 1948, the creation of a modern state of Israel was announced.

This thesis discusses the causes and consequences of the "Six-Day War", as well as the course of the Yom-Kipur War and its geopolitical implications.

Despite the ceasefire and ceasefire agreements, the territorial conflict between the Arab world and Israel is not over yet, which remains a pressing issue today.

The thesis consists of introductory sections, three chapters, conclusions and applied literature.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ებრაული სახელმწიფოს წინაისტორია 7

1.1. სიონიზმის წარმოშობა და პირველი წარმატებები 7

1.2. პალესტინის ტრაგედია 12

თავი II. „ექვსდღიანი ომი“ 16

2.1. „ექვსდღიანი ომის“ გამომწვევი მიზეზები 16

2.2. „ექვსდღიანი ომი“ და მისი შედეგები 19

თავი III. „იომ-ქიფურის ომი“ 33

3.1. „იომ-ქიფურის ომის“ მიმდინარეობა 33

3.2. „იომ-ქიფურის ომის“ გეოპოლიტიკური შედეგები 36

დასკვნა 43

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა: 45

შესავალი

სამი კონტინენტის შესაყარზე, აფრიკასა და აზიასთან ევროპის დამაკავშირებელ საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო გზების გზაჯვარედინზე, სოციალისტურ სახელმწიფოებთან უშუალო სიახლოვეს მყოფ არასტაბილურ არაბულ რეგიონში, ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაბადებას ბომბის გასკდომის ეფექტი ჰქონდა, რომლის დამანგრეველი მოქმედება დღემდე გრძელდება. მართლაც, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი დღემდე ღიად დარჩენილი საკითხია. სიტუაციის გამწვავება, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე, სუვერენული სახელმწიფოს დაარსებისთვის განხორციელებული ქმედებების შედეგად დაიწყო, მათ შორის იყო პალესტინაში ებრაელთა პირველი მიგრაციაც. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ისრაელსა და მეზობელ სახემლწიფოებს შორის არსებული დავა უკვე ღია კონფლიქტში გადაიზარდა. 1967 წელს გაჩაღდა ომი, რომელსაც ამ რეგიონში ცივი ომის ეპოქის ორი ზესახელმწიფოს ინტერესებიც ასაზრდოებდა... ომმა საბჭოთა კავშირის დაშლასა და ბიპოლარული სისტემის დასასრულსაც გაუძლო. მხარეთა რელიგიური ანგატონიზმის მიუხედავად, მშვიდობის დამყარება მაინც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, პალესტინელებისა და ებრაელების უმრავლესობა სისხლის ღვრის შეწყვეტას მოითხოვდა.[1] უმთავრეს პრობლემას ამ სურვილის პოლიტიკურ სიბრტყეზე გადატანა წარმოადგენდა.

ამდენად, ახლო აღმოსავლეთი უამრავი კონფლიქტის ეპიცენტრად იქცა. საკმარისია, ძველ აღქმას გადავავლოთ თვალი და დავრწმუნდებით, რომ ამ მიწისთვის სხვადასხვა ქვეყნისა თუ ეროვნების წარმომადგენელნი ოდითგანვე ეცილებოდნენ ერთმანეთს. ესაა მიწა, რომელიც ათასწლოვანი ომებისა და ხოცვა-ჟლეტის მომსწრეა. ამავდროულად, შემთხვევითი არ არის, რომ რეგიონი აკვანია სამი მონოთეისტური რელიგიის - იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის. თუმცა ამ რელიგიათა სიყვარულის, მშვიდობისა და სამართლიანობის გზავნილებს ადამიანებმა საომარი მოქმედებები დაუპირისპირეს, თავის გასამართლებლად კი მუდამ ღვთის სახელით მოქმედებდნენ,

[1] გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2011, გვ. 425.

დაპყრობებს რელიგიურ სარჩულს უდებდნენ და სისხლის გუბეებსა და ნანგრევების კვალს ტოვებდნენ. ამ მიწას არც კოლონიური პოლიტიკის მატარებელი ექსპანსიონისტი ზესახელმწიფოების ფარული ინტერვენცია მოჰკლებია. დღესაც, ახლო აღმოსავლეთი, სამხედრო და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, პლანეტის ყველაზე ცხელ წერტილად რჩება. ამ პატარა გეოგრაფიულ არეალში ხან პალესტინის, ხანაც ისრაელის საომარი დაფდაფების ხმა გაისმის. დაპირისპირებული მხარეები, რომლებიც ერთმანეთის ტერიტორიას ეცილებიან, არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლით და გაეროს რეზოლუციებით მანიპულირებენ, არამედ ცდილობენ, კანონდარღვევები რელიგიური ფუნდამენტალიზმით გაამყარონ. სწორედ, აქედან გამომდინარე, ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომების პრობლემას დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომიც ამ აქტუალობას ემყარება და შეძლებისდაგვარად წარმოაჩენს „ექვსდღიანი“ და „იომ-ქიფურის“ ომების გამომწვევ მიზეზებსა და გეოპოლიტიკურ შედეგებს.

თავი I. ებრაული სახელმწიფოს წინაისტორია

1.1. სიონიზმის წარმოშობა და პირველი წარმატებები

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე რომის იმპერიის ახალი პროვინცია, იუდეა აღმოცენდა. 135 წელს, ბარკოხბის მეთაურობით ებრაელთა უკანასკნელი აჯანყების ჩახშობისა და ებრაელების სამშობლოდან განდევნის დასრულების შემდეგ, რომის იმპერიამ იუდეას სახელი შეუცვალა და პალესტინა უწოდა[2]. ეს სახელწოდება შემთხვევით არ შეარჩიეს. რეგიონში ებრაელთა სახელმწიფოს კვალის წაშლის მიზნით, რომაელებმა ბიბლიური ისტორიიდან ფილისტიმელების სახელი მოიშველიეს, რომლებიც ძველი ებრაელების დაუძინებელი მტრები იყვნენ[3]. ამგვარად, რომი გეოპოლიტიკაში მითების ჩართვისა და ამ გზით დაპყრობილ ხალხებზე ბატონობის ნამდვილი დიდოსტატი იყო. VII საუკუნეში, პალესტინა არაბულენოვანი ხალხების ბატონობის ქვეშ მოექცა. ამ ხალხებიდან ერთ-ერთი კი ამ რეგიონში სამუდამოდ დაფუძნდა და პალესტინელ ერად იქცა, თუმცა ებრაელები სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრების დროსაც კი ამ მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ[4]. ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში გალუთში (დევნილობაში) მცხოვრები ებრაელი ხალხი ორი ათასწლეულის მანძილზე არ კარგავდა ისრაელის მიწაზე დაბრუნების იმედს და არ ცნობდა „პალესტინას“. გალუთში მცხოვრები ებრალეობის უდიდესი ნაწილი ინარჩუნებდა მამა-პაპათა რელიგიას. რაბი ყოველთვის ასწავლიდა, თუ სადაა ებრაელის ნამდვილი სამშობლო[5]. თორას წყალობით შენარჩუნდა ებრაული ენა, თუმცა მას ძირითადად რელიგიური ფუნქციის შესრულება დაეკისრა. ის, რომ ხამამი ასწავლიდა საკმაოდ რთულ ებრაულ ანბანს, ებრაელობას ზოგადად წიგნიერ ხალხად აქცევდა. ის უადვილებდა მათ ადგილობრივ ენაზე წერა-კითხვის დაუფლებასაც.

ურიცხვი დამპყრობლის ქიშპობის საგნად ქცეული ახლო აღმოსავლეთი XIII საუკუნის მიწურულს ოსმალეთის ახალი იმპერიის პროვინციად გადაიქცა. სწორედ ამ

---

[2] გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2011, გვ. 427.

[3] Краткая Еврейская Энциклопедия, 1976, т. 1, გვ. 879-880.

[4] მელიქიშვილი გ., რედ., ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 1988, გვ. 285-286.

[5] ბათოშვილი ა., ებრაელი ხალხის ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 335.

პერიოდიდან დაიწყო ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ პალესტინის რეგიონით დაინტერესებაც[6]. მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური იმპერიული სტრუქტურა ძალაუნებურად უწყობდა ხელს პალესტინის უძველესი ანკლავების განვითარებას. მეორე მხრივ, სამშობლოში ებრაელთა დაბრუნებას „ხელს უწყობდა“ ე.წ „პოგრომები“ (ანტისემიტური მასობრივი ხოცვა-ჟლეტა). ძალადობის ტალღას გადარჩენილი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დევნილი ებრაელები წინაპართა მიწას აფარებდნენ თავს.

ებრაელობას შუა სუკუნეების ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში ჩაგრავდნენ (იმდროინდელი კათოლიციზმი და მისი ინკვიზიცია ადანაშაულებდა ებრაელობას ქრისტეს ჯვარცმაში), მაგრამ სწორედ ეს ჩაგვრა აიძულებდა ებრაელობას თემად შეკრული ყოფილიყო. ვენეციაში მათ თავისი საცხოვრებელი უბანი, სახელად გეტო, გაამაგრეს კიდეც. შემდგომში გეტო ჩაკეტილი ებრაული უბნის საზოგადო სახელად იქცა. რადგან ებრაელს მიწათმოქმედებას უკრძალავდნენ და აიძულებდნენ ქალაქში ეცხოვრა, მან ხელი მიჰყო ხელოსნობას (განსაკუთრებით ოქრომჭედლობას), ვაჭრობას, მევახშეობას. ამ დარგში კი სიმდიდრის დაგროვება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე გლეხური შრომით.

1789 წელს, ინგლისელთა კოლონიური ექსპანსიის შეჩერების მიზნით, ნაპოლეონმა ეგვიპტის კამპანია წამოიწყო[7]. ამ კამპანიის მოსამზადებელი პერიოდის ფარგლებში კორსიკელმა გენერალმა საფრანგეთის ებრაელთა საბჭო მოიხმო და უძველეს სამშობლოში დაბრუნების პირობა მისცა. შედეგად ბევრი ებრაელი შეურთდა ნაპოლეონის არმიას და იერუსალიმში, ხაიფაში, ტიბერიასა და ნაზარეთში დაბრუნდა. საბოლოოდ, 1882 წელს, ეგვიპტე ბრიტანელთა ხელში აღმოჩნდა, რომლებიც, ერთი მხრივ, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ არაბულ ნაციონალიზს აღვივებდნენ, მეორე მხრივ, პალესტინურ-ებრაულ დაპირისპირებას ამძაფრებდნენ[8].

---

[6] Smith, Charles D., Palestine and the Arab-Israeli Conflict,Boston: Bedford/St. Martin's, 2001, გვ . 15.
[7] თვალავაძე ვ., ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. ნაკვეთი II, თბ., 1999, გვ. 188.
[8] კალანდაძე მ., ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005, გვ. 161.

1896 წელს, უნგრელმა ებრაელმა მწერალმა თეოდორ ჰერცლმა გამოაქვეყნა წიგნი „ებრაელების სახელმწიფო“ და სიონიზმს პოლიტიკური ფორმა შესძინა[9], რამაც კულტურული თვითმყოფადობა ნაციონალიზმად გარდაქმნა. თეოდორ ჰერცლი წერს: „პალესტინა ჩვენი ისტორიული სახლია. თვით სახელი პალესტინა მოიზიდავს ჩვენს ხალხს გასაოცარი სიძლიერით“[10]... 1897 წელს, ბაზელში პირველი მსოფლიო სიონისტური კონგრესი ჩატარდა მოთხოვნით „მიეცით ჭერი ებრაელ ხალხს პალესტინაში“. დაარსდა „ებრაული კოლონიზაციის ასოციაცია“, რომელიც ებრაელთა ემიგრაციით და პალესტინის მიწების შესყიდვით იქნებოდა დაკავებული. თავისი მიზნის მისაღწევად, სიონისტურმა მოძრაობამ სხვადასხვა სახელმწიფოსთან გააფორმა განსხვავებული პოლიტიკური ალიანსები. 1916 წელს, საიქს-პიკოს შეთანხმების შედეგად, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ახლო აღმოსავლეთში გავლენის სფეროები გადაინაწილეს. პარალელურად, ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი კაიროში, ჰენრი მაკ-მაგონი და მექას მმართველი ჰუსეინ იბნ-ალი ერთმანეთს შეხვდნენ და აზიის არაბულენოვან ტერიტორიებზე, მათ შორის პალესტინაშიც, დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოების შექმნაზე შეთანხმდნენ[11]. 1917 წელს კი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არტურ ჯეიმს ბალფურმა ბრიტანეთის დაპირება, პალესტინაში „ებრაელთა ეროვნული კერა“ შეექმნა, საჯაროდ გაახმოვანა[12]. ბალფურის ეს განცხადება ლონდონის ორმაგ თამაშს მიაწერეს.

„პოლიტიკური სიონიზმიც“ აქტიურად ჩაება ორ ბანაკს შორის გაჩაღებულ თამაშში. მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია (რეზიდენცია ბერლინში) მხარს უჭერდა კონსტანტინოპოლის მოკავშირე გერმანიის გამარჯვებას, რადგან ეს ფაქტი ლონდონისა და საფრანგეთის მოკავშირე ცარისტული რუსეთის დამარცხებას ნიშნავდა. ცარისტული რუსეთი ხომ ანტისემიტური „პოგრომების“ ტრაგიკულ სცენას წარმოადგენდა. გარდა ამისა, გერმანელი სიონისტები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მესამე რაიხს მოკავშირე

[9] გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2011, გვ. 433.
[10] Herzl, Theodor, The Jewish state, 1986, გვ. 48.
[11] Kissinger, Henry, Diplomacy, New York, USA, 1994, გვ. 533-535.
[12] Bernard Reich(ed.) „Arab-Israeli Conflict and Conciliation: A Documentary History”, Praeger, 1995, გვ. 56.

ოსმალეთზე გავლენა მოეხდინა, რათა პალესტინაში ებრაული სახელმწიფო ჩამოყალიბებულიყო.

1920 წელს პალესტინაში დააარსდა „გისტანდრუტი“ (ებრაელ მუშათა პროფკავშირის ფედერაცია), რომელსაც ძლიერი სოციალისტური და სიონისტური ფესვები ჰქონდა და მყარად ეფუძნებოდა „კიბუცს“ (სასოფლო სამეურნეო კომუნა ისრაელში).[13] „გისტადრუტმა“ ბრიტანელებისა და არაბებისგან ფარულად ჩამოაყალიბა „ჰაგანა“ (სამხედრო და თავდაცვითი დანიშნულების ორგანიზაცია). 1922 წელს, როცა პალესტინელებსა და ებრაელებს შორის მიმდინარე შეტაკებებს ასობით ადამიანი ეწირებოდა, ერთა ლიგამ ამ ტერიტორიაზე ბრიტანეთის მანდატი დაამტკიცა. ბრიტანეთი პალესტინაში ხაიფასა და აკრას ნავსადგურებს ღებულობდა[14]. 1932 წელს გაჩნდა პალესტინის პირველი პოლიტიკური პარტია, რომლის სახელიც „ისტიკლიალი“ (დამოუკიდებლობა) უკვე ყველაფერზე მეტყველებდა.

გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, პალესტინაში ბრიტანეთის მანდატის მოქმედების დროს, პალესტინელებსა და ებრაელებს შორის შეტაკებები გახშირდა. 1929 წლის აგვისტოში, გოდების კედელთან მისასვლელი გზების გაკონტროლების მიზნით გაჩაღებული კონფლიქტის დროს, 133 ებრაელი და 116 არაბი დაიღუპა.[15] ეს კედელი I საუკუნეში, რომის მიერ დანგრეული უძველესი ებრაული ტაძრიდან შემორჩენილი ერთადერთი სიწმინდეა. როგორც ერთ, ისე მეორე ადგილზე მისასვლელად არაბებმა და ებრაელებმა ერთი და იგივე ქუჩები უნდა გაიარონ. ამგვარად, ებრალებისა და არაბებისათვის ეს წმინდა ადგილი, საბოლოოდ კონფლიქტის სიმბოლოდ გადაიქცა. ბრიტანული ჯარები ვეღარ ახერხებდნენ კონფლიქტის ესკალაციის შეჩერებას.

1932 წელს იერუსალიმში მსოფლიო პანისლამური კონგრესი შეიკრიბა, სადაც საუდის არაბეთის თხოვნით, ანტისიონიზმი „ყველა მუსლიმანის (მაროკოდან დაწყებული კუნძულ იავას ჩათვლით) საქმედ გამოაცხადა“, რაც კონფესიური კონფლიქტის

[13] გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2011, გვ. 434,
[14] ხონელიძე ნ., ბალფურის დეკლარაცია დოკუმენტის 80 წლისთავის გამო. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 415.
[15] ხონელიძე ნ., ბალფურის დეკლარაცია დოკუმენტის 80 წლისთავის გამო. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 418.

გამაძლიერებელ კომპონენტად იქცა. ერთა ლიგის მხარდაჭერით ლონდონმა ე.წ პალესტინის სამეფო კომისია დააფუძნა. კომისიამ საკითხი შეისწავლა და 1937 წელს პალესტინის ტერიტორიის ორ სახელმწიფოდ გაყოფის რეკომენდაციით გამოვიდა: ერთ ნაწილზე (რეგიონის 33%) ებრალეთა სახელმწიფო დაფუძნდებოდა, ხოლო დანარჩენი ტერიტორია პალესტინელებს დარჩებოდათ.

1.2. პალესტინის ტრაგედია

ბრიტანელებმა არაბების დამშვიდება გადაწყვიტეს და პალესტინის დაყოფის უკვე მიღებული პროექტი ახალი გეგმით ჩაანაცვლეს. აღნიშნული გეგმის თანახმად, არაბულ-ებრაული სახელმწიფო 10 წლის ვადაში უნდა შექმნილიყო. ამასთან, ხუთი წლის მანძილზე იმიგრირებულ ებრაელთა რიცხვი 75 000-მდე უნდა შეეზღუდათ, ხოლო პალესტინის მიწების ებრაელებზე მიყიდვა მკაცრი რეგლამენტის ქვეშ მოექციათ.[16] იმიგრაციის ჩახშობა 1940 წლის მარტის თვიდან დაიწყო, როდესაც ებრაელი იმიგრანტებით სავსე გემი „Artuma“ ბრიტანელებმა არ მიიღეს. საბოლოოდ გემი ზღვაში ჩაიძირა (1942), რასაც 781 ებრაელის სიცოცხლე შეეწირა.[17] სიონისტებმა ეს ფაქტი ევროპაში დაწყებულ ებრაელთა დევნასთან გააიგივეს, რამაც ბრიტანელების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა წაახალისა. ამ ბრძოლას სათავეში „ებრაული ლეგიონის“ ყოფილი წევრი და ევროპის ებრაული სააგენტოს ყოფილი თავჯდომარე დავით ბენ-გურიონი ჩაუდგა.

1947 წლის 29 ნოემბერს, გაერთიანებული ერების გენერალუმა ასამბლეამ, კენჭისყრის შედეგად (33 მომხრე; 13 წინააღმდეგი; თავი შეიკავა 10-მა ქვეყანამ, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა და ჩინეთმა), პალესტინის ორ სახელმწიფოდ დაყოფა დაამტკიცა. სსრ კავშირი იყო პირველი ქვეყანა, რომელიც გაეროს ამ წინადადებას მიესალმებოდა, ასეთივე პოზიცია ჰქონდათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს. პალესტინის ორ სახელმწიფოდ დაყოფას 11 მუსლიმანური სახელმწიფო, ასევე საბერძნეთი და კუბა ეწინააღმდეგებოდა. დეკემბრის თვეში, ლონდონმა განაცხადა, რომ 1948 წლის 14 მაისს პალესტინაში ბრიტანეთის მანდატის მოქმედება დასრულდებოდა.[18] 14 მაისს, ზუსტად ბრიტანეთის მანდატის ამოწურვის დღეს, პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ-გურიონმა ქნესეთში ისრაელის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა კავშირის მხარდამხარ, ოფიციალურად აღიარა ახალი სახელმწიფო.

---

[16] Kissinger, Henry, Diplomacy, New York, USA, 1994, გვ. 521.

[17] Насер Г. А. Проблемы египетской революции. Избранные речи и вытупления, გვ. 225

[18] გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2011, გვ. 446.

პალესტინის მხარდასაჭერად, თუმცა, სინამდვილეში საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, შვიდმა არაბულმა სახელმწიფომ ისრაელს ომი გამოუცხადა. ომის დაწყებიდან პირველ თვეებში ებრაელებმა ქვეყნის ორი გამყოფი, იერუსალიმ-თელ-ავივის მაგისტრალის დაცვას უდიდესი ძალისხმევა შეალიეს და უზარმაზარი დანაკარგიც განიცადეს. არაბი ლიდერების მუქარა „ებრაელთა ზღვაში გადაყრის" თაობაზე, კიდევ უფრო ამძაფრებდა ებრაელთა აგრესიას, რასაც მოწმობს კიდეც სოფელ დეირ-იასინზე თავდასხმა. ამ თავდასხმის შედეგად ორასზე მეტი პალესტინელი დაიღუპა. რამდენიმე დღის შემდეგ, არაბთა ჯარებმა საპასუხო იერიში მიიტანეს და ებრაული სამედიცინო კოლონა გაანადგურეს, რასაც 76 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.[19] 1949 წლის იანვარში კი ნათელი გახდა არაბული კოალიციის მიერ ომის წაგების ფაქტი და ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოთა შორის დაიწყო მოლაპარაკებები ომის შეწყვეტის თაობაზე[20]. პალესტინელები, რომლებსაც არ გაჩნდათ საკუთარი სამხედრო სტრუქტურა, ლიბანის, სირიის, იორდანიისა და ეგვიპტის მიმართულებით დაიფანტნენ, სადაც დღემდე იმყოფებიან იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკებში.

ამგვარად, ებრაელებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს, რის შედეგადაც ისტორიული პალესტინის ტერიტირია 78%- ით გააფართოვეს. თუმცა ამ გამარჯვებას თან მოჰყვა პალესტინელ ლტოლვილებთან დაკავშირებული მუდმივი დაძაბულობის კერის შექმნა. ისინი კანონის სახელით მოითხოვდნენ საკუთარ მიწაზე დაბრუნებას. მათი ეს უფლება 1948 წლის 11 დეკემბრით დათარიღებული გაეროს 194-ე რეზოლუციით დასტურდებოდა, რომელიც დღემდე არ შესრულებულა.

დამარცხებამ არაბული ქვეყნები შოკში ჩააგდო. ტრანსიორდანია იორდანიად გარდაიქმნა, რათა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე, როგორც „არავის მიწაზე", პალესტინელი ლტოლვილები დასახლებულიყვნენ[21]. ისინი არა მხოლოდ იაფ მუშახელს წარმოადგენდნენ, არამედ ერთგვარ ბუფერულ ზონასაც

[19] David Mayers, Wars an Peace, Houndmills, Basingstoke, Hapmshire: Macmillan press, 1998, გვ. 19.
[20] David Mayers, Wars an Peace, Houndmills, Basingstoke, Hapmshire: Macmillan press, 1998, გვ. 14.
[21] ჯაფარიძე თ., სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში. ქართული დიპლომატია, წელიწდელეული, ტ. 7, თბ., 2000, გვ. 265.

ქმნიდნენ ისრაელსა და ჰაშიმიტების სამეფოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტე ოფიციალურად დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ლონდონის ძლიერ ზეწოლას განიცდიდა. სირიაში, ნაციონალისტი ოფიცრები გააქტიურდნენ, რასაც სამხედრო გადატრიალებების სერია მოჰყვა. მრავალეთნიკურმა და მულტირელიგიურმა ლიბანმა პალესტინელი ლტოლვილები ისრაელის საზღვართან გადაასახლა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპის დიდმა სახელმწიფოებმაც დაიწყეს, მომხდარი ცვლილებების ფონზე, რეგიონში საკუთარი ინტერესების დაცვა. დიდი ბრიტანეთი შეურიგდა პალესტინის დაკარგვას, თუმცა, სუეცის არხზე თავისი კონტროლი კიდევ უფრო გააძლიერა. საბჭოთა კავშირი, რომელიც ინარჩუნებდა ისრაელთან ურთერთობას, იმავდროულად, სდევნიდა სიონიზმს, როგორც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებას. ნავთობზე დახარბებული ამერიკის შეერთებული შტატები კი ნავთობით მდიდარ არაბულ ქვეყნებთან ცდილობდა ურთიერთობის დალაგებას.

1948 წელს ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადებას არაბები დასავლეთის მხრიდან ღალატად და საკუთარი პოლიტიკური ელიტის მარცხად თვლიდნენ. ახალი ებრაული სახელმწიფოს ძლევამოსლება, რომელიც აქცენტს თანამედროვე ევროპულ ფასეულობებზე აკეთებდა, საბოლოო ჯამში, არაბი ხალხის გაღიზიანებას კიდევ უფრო ამძაფრებდა. საზღვრის მეორე მხარეს, პალესტინელი ლტოლვილები გრძნობდნენ, რომ საკუთარი მიწა-წყლის დაკარგვა მხოლოდ ებრაული სიონიზმის დამსახურება როდი იყო. ისინი კარგად აცნობიერებდნენ, რომ საკუთარმა მთავრობამ ისინი საზარბაზნე ხორცად გამოიყენა. უკმაყოფილება არაბების შეიარაღებულ ძალებში აისახა, რომლებიც ბრძოლის ველზე განცდილ დამცირებას ძნელად ეგუებოდნენ. ნაციონალისტურად განწყობილი ახალგაზრდა ოფიცრები ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, რათა საკუთარი ქვეყნის კურსი შეეცვალათ. მოხდა მთელი რიგი სახელმწიფო გადატრიალებები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმხანად ეგვიტპის არმიის პოლკოვნიკის, გამალ აბდელ ნასერის(1918-1970) მეთაურობით მოწყობილი სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება[22].

[22] David Mayers, Wars an Peace, Houndmills, Basingstoke, Hapmshire: Macmillan press, 1998, გვ. 45-47.

ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი გავლენის სფეროების გაზრდის მიზნით, ერთმანეთს უწევდნენ მეტოქეობას. ახლო აღმოსავლეთი, სუეცის არხის გარდა, მსოფლიოში ნავთობის რეზერვებით მდიდარ და მიმზიდველ ტერიტორიას წარმოადგენს. ორივე ზესახელმწიფო, კაპიტალისტური ამერიკის შეერთებული შტატები და კომუნისტური საბჭოთა კავშირი, რეგიონში დამკვიდრების მიზნით ერთსა და იმავე მეთოდებს მიმართავდა: იარაღის მასობრივი მიწოდება და „უანგარო“ კაპიტალის ინვესტიციები. 1951 წლამდე ისრაელში ჩეხოსლოვაკიიდან იარაღის შემოდინება არ შეწყვეტილა. თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები ებრაული სახელმწიფოს მხარდაჭერის საქმეში საკმაო თავშეკავებას იჩენდა, თუმცა, ვაშინგტონში სიონისტურ წრეებთან კავშირი გაამყარა და შავი ოქროს ონკანის მფლობელ საუდის არაბეთში საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი.

თავი II. „ექვსდღიანი ომი“

2.1. „ექვსდღიანი ომის“ გამომწვევი მიზეზები

1945 წელს დაარსდა არაბული ქვეყნების ლიგა, რომელიც ყველა არაბულენოვან ერს აერთიანებდა. ამ არაბული ზეეროვნული ორგანოს წევრების პოზიციათა თანხვედრა, ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ რიტორიკაში იკვეთებოდა, რაც შეეხება რეგიონულ, ტერიტორიულ და იდეოლოგიურ ასპექტებს, ამ მხრივ საკმაოდ მერყეობდნენ. პოზიციათა ასეთივე არამდგრადობით ხასიათდებოდა მათი ურთიერთობა იმ ზესახელმწიფოებთანაც, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებდნენ. ეგვიპტეში ნასერის ხელისუფლება სულ უფრო მტკიცდებოდა. ეგვიპტემ მდინარე ნილოსზე ასუანის კაშხლის მშენებლობის დაფინანსების მიზნით, სესხის ასაღებად მსოფლიო ბანკს მიმართა. ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლქვეშ მოქცეულმა ბანკმა სესხის გაცემაზე ეგვიპტეს უარი განუცხადა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ სუეცის არხი დიდი ბრიტანეთის ხელში იყო.

ამდენად, ვაშინგტონი ყველანაირად ცდილობდა, რეგიონიდან საბოლოოდ გაეძევებინა ლონდონი. 1956 წელს ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოახდინა[23]. დიდმა ბრიტანეთმა, რომელსაც საფრანგეთი უჭერდა მხარს, აღნიშნული ფაქტი გააპროტესტა. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლა წამოიწყო, მხარდაჭერა აღუთქვა დიდ ბრიტანეთს. სსრკ, იმავდროულად, არაბულ სამყაროსთან ცდილობდა საერთო ენის გამონახვას. მოსკოვმა ისრაელისგან დისტანცირება მოახდინა და ახალდაარსებული ებრაული სახელმწიფო ბრიტანეთის ყოფილი მანდატის „გამოგონებად“ და რეგიონში დასავლეთის მოკავშირედ მონათლა. ნასერმა სუეცის არხის ხელში ჩაგდების შემდეგ არა მხოლოდ ისრაელის ხომალდებს, არამედ პორტისკენ მიმავალ, ნებისმიერი სხვა დროშის ქვეშ მცურავ საომარ თუ სავაჭრო გემებსაც აუკრძალა სუეცის არხის გადაკვეთა.

ეკონომიკური და სამხედრო კრიზისის საფრთხის მიუხედავად, ფრანგულ-ბრიტანული მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისიმედით, ისრაელმა ჯარის

[23] Kissinger, Henry, Diplomacy, New York, USA, 1994, გვ. 529-530.

მობილიზება მოახდინა და ბლიცკრიგის მეთოდით სინაის ნახევარკუნძულს შეუტია. ისრაელმა გაანადგურა ეგვიპტის არმია და სუეცის არხის წყლებამდე მიაღწია. ეს აგრესია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სასტიკად დაგმო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ანალოგიურად მოიქცა საბჭოთა კავშირიც და განაცხადა, რომ მზად იყო ყოველგვარი წინა პირობის გარეშე დაეფინანსებინა ასუანის კაშხლის მშენებლობა და დახმარებოდა ეგვიპტეს განადგურებული არმიის გადაიარაღებაში. ეგვიპტეს სრული მხარდაჭერა აღუთქვა არაბული ქვეყნების ლიგამაც. ამგვარი საერთაშორისო ზეწოლის ფონზე ისრაელმა დატოვა სუეცის არხი, მაგრამ მოითხოვა, რომ მის გემებს კვლავინდებურად შეუფერხებლად ესარგებლათ სუეცის არხით, ხოლო სინაის ნახევარკუნძულის დატოვების სანაცვლოდ სამშვიდობო შეთანხმება გაფორმებულიყო.

აშშ-ის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, ნასერი დათანხმდა სსრკ-ის შემოთავაზებას ასუანის კაშხლის დაფინანსებასა და არმიის გადაიარაღებასთან დაკავშირებით, ხოლო ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმების დადებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ახლო აღმოსავლეთი ახალ უკვე ორი ზესახელმწიფოს, სსრ კავშირისა და აშშ-ის სამიზნედ იქცა, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გაურკვეველი ვადით დატოვეს. 1957 წელს ისრაელი სინაის ნახევარკუნძულიდან გავიდა, მისი ადგილი კი გაეროს ცისფერჩაფხუტიანებმა დაიკავეს. კონფლიქტის ამგვარად გადაწყვეტაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საბჭოთა კავშირს, რომლის ლიდერმაც განაცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ისრაელის წინააღმდეგ სარაკეტო დარტყმებს განახორციელებდა.

1956 წლის მეორე არაბულ-ებრაული ომი არ იყო ისრაელისა და არაბულ ქვეყნებს შორის შემდგარი უკანასკნელი შეიარაღებული დაპირისპირება. ამ ომში ისრაელის სამხედრო გამარჯვებამ მისი თავდაცვის ძალების უპირატესობა ცხადყო და დაადასტურა, რომ ისრაელი, ახლო აღმოსავლეთში, უძლიერეს სამხედრო ძალას წარმოადგენდა. გარდა ამისა, ფრანგული და ბრიტანული გავლენის შემცირების კვალდაკვალ, რეგიონში საბჭოთა კავშირის გავლენა გაიზარდა, გამალ აბდელ ნასერის მეთაურობით კი პანარაბიზმმა იმძლავრა. 1964 წელს შეიქმნა „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია“. ძირითად მიზანს ისრაელის სახელმწიფოს განადგურება წარმოადგენდა.

ორგანიზაცია უარს ამბობდა ეღიარებინა ებრაელი ხალხის ნებისმიერი ისტორიული უფლება პალესტინის ტერიტორიაზე და პრეტენზიას აცხადებდა არა მხოლოდ ისრაელის მთელ ტერიტორიაზე, არამედ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზეც იერუსალიმის ჩათვლით (დედაქალაქის სტატუსით). თავის მხრივ, ისრაელი გამალებულ შეიარაღებას და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოების გზების ძიებას შეუდგა. 1964 წლის იანვარში, კაიროში გამართულ არაბული ქვეყნების მეთაურთა სამიტზე ნასერისტებმა უმაღლესი არაბული კომიტეტის (პალესტინელი არაბების პოლიტიკური ორგანო ბრიტანეთის მანდატის პერიოდში) შევიწროება მოახერხეს.

სირიის ხელისუფლებამ, რომლის თავდაცვის მინისტრმა ხაზეფ ალ-ასადმა რუსული სამხედრო თვითმფრინავები შეიძინა, დაჯგუფება „ფათჰის“ გოლანის მაღლობზე დაბანაკების ნებართვა მისცა, რითაც ისრაელი და გალილეა პალესტინელთა სამიზნედ აქცია, ასევე მფარველობდა „ფედაინებს“(პალესტინელი პარტიზანები, რომლებიც რეიდებს აწყობდნენ ისრაელის წინააღმდეგ).

ისრაელში აშკარად იგრძნობოდა საზოგადოების გაღიზიანება. ამას დაერთო ეკონომიკური კრიზისიც. უმუშევრობამ 12,4 %-ს მიაღწია. ყველაზე მეტად არაბული ქვეყნებიდან ჩამოსული მიზრაჰიმები (აღმოსავლეთის ებრაელები) დაზარალდნენ, რომლებიც ჯერ ისევ ატარებდნენ წარსული რეპრესიებით განცდილ უკმაყოფილებასა და თანამედროვე ეკონომიკურ პროცესში ჩართვისთვის ნაკლებად იყვნენ მზად. ამ სიტუაციაში მეტად გაძლიერდა ნაციონალისტი მენახემ ბეგინის მეთაურობით მოქმედი მემარჯვენე პოლიტიკური პარტია „ხერუტი“. ისრაელის უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი დავიდ ბენ-გურიონი და შტაბის უფროსი, გენერალი იცხაკ რაბინი, აშკარად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ისრაელის მოქმედი პრემიერ-მინისტრის ლევი ეშკოლის გაუბედავი პოლიტიკის გამო.

სუეცის კრიზისის შემდგომ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა იარაღით და სამხედრო სპეციალისტებით დახმარებოდა ეგვიპტეს. ისედაც რთული ურთიერთობა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის 1967 წელს კიდევ უფრო დაიძაბა. იმ წლის ივნისის დამდეგს ეგვიპტემ ტირანის სრუტე საერთაშორისო ნაოსნობისათვის დაკეტა, რითაც ფაქტობრივად მოახდინა ისრაელის ნავსადგურ ეილათის ბლოკირება. სინას

ნახევარკუნძულზე დაიწყო ეგვიპტის არმიის განთავსება. 1966-67 წლებში ჩამოყალიბდა ეგვიპტე-სირია-იორდანია-ერაყის სამხედრო კავშირი. 1967 წლის 11 მაისს საბჭოთა კავშირმა ეგვიპტესა და სირიას ისრაელის მხრიდან მოსალოდნელი შეტევის შესახებ ამცნო. ნასერმა სინაის ნახევარკუნძულზე 100 000 ჯარისკაცის, 900 ერთეული ჯავშანტექნიკისა და 700 საარტილერიო დანადგარის მობილიზება მოახდინა. 15 მაისს, შეიარაღებული ძალების ეფექტურობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, ისრაელმა რეზერვისტების მობილიზაცია გამოაცხადა, რაც პრაქტიკულად, ყველა ბრძოლისუნარიანი მოქალაქის ჯარში გაწვევას ნიშნავდა. 1967 წლის 22 მაისს ნასერმა გამოაცხადა ისრაელისთვის განკუთვნილი სტრატეგიული ტვირთებისთვის აქაბის ყურის (სუეცის არხის უკიდურესი სამხრეთი) და წითელი ზღვის ჩაკეტვა,ასევე გაეროს ცისფერჩაფხუტიანების გაყვანა მოითხოვა, რითაც ისრაელი საზღვაო ბლოკადაში მოაქცია. 30 მაისს ეგვიპტე-სირიის თავდაცვით პაქტს იორდანიაც შეუერთდა,ხოლო ისრაელმა მობილიზაცია გამოაცხადა[24]. ომის დაწყებას აღარაფერი აკლდა.

2.2. „ექვსდღიანი ომი“ და მისი შედეგები

1967 წლის 1 ივნისს, ლევი ეშკოლი ეროვნული ერთობის მთავრობის ჩამოყალიბების მოწოდებით გამოვიდა და სინაის ბრძოლების გმირის, მოშე დაიანის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა ბრძანა. 4 ივნისს ეგვიპტე-იორდანიის თავდაცვით პაქტს მიურთდა ერაყი (1966 წლის ნოემბერში ეგვიპტემ ცალკე დასდო ანალოგიური პაქტი სირიასთან, რომელსაც იმ დროს არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა იორდანიასთან). არაბული ქვეყნების ლიდერებისა და გენერლების თავდაჯერებული ანტიისრაეული რიტორიკა ეჭვს არ ტოვებდა, რომ ჰაერში ტრიალებდა მოსალოდნელი ომის სუნი. ისრაელის მთავრობა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ გათვალა, რომ თუკი მოწინაღმდეგის პირველ გასროლას დაუცდიდნენ, ქვეყნის ძალიან მცირე ტერიტორიის სტრატეგიული სიღრმე მისი დაცვის საშუალებას არ მისცემდა. საქმე მართლაც ისრაელისათვის ეგზენტენციურ საფრთხეს ეხებოდა. გარკვეული დროის

[24] David Mayers, Wars an Peace, Houndmills, Basingstoke, Hapmshire: Macmillan press, 1998, გვ. 35-36.

განმავლობაში ყოყმანის შემდეგ, ისრაელის ავიაციას ებრძანა დამსწრები დარტყმის მიყენება ეგვიპტის აეროდრომებისათვის, თუნდაც იარაღის პირველად გამოყენებას ქვეყნისათვის აგრესორის იმიჯი შეექმნა საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში.

1967 წლის 5 ივნისს, დილით, ისრაელის ავიაციამ დაბომბა კაიროს და ალ-არიშის სამხედრო აეროდრომები და ჩამოაგდო 6 საბჭოთა თვითმფრინავი „მიგ"-ი. საპასუხოდ ნასერმა გამოაცხადა მობილიზაცია და სინაის საზღვართან 80 000-იან ჯარს მოუყარა თავი. ისრაელს ჰაერში სრული დომინირების საშუალება მიეცა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისათვის. ამას მოჰყვა ისრაელის არმიის სატანკო შეტევა ოთხი მიმართულებით. ეგვიპტის არმია სრული კატასტროფის წინაშე დადგა. ნასერმა უკან დახევა ბრძანა(სუეცის არხის დასავლეთ ნაპირამდე).

6 ივნისს ისრაელის არმიამ დაიკავა მთელი იერუსალიმი. გაეროს უშიშროების საბჭომ მოითხოვა საომარ მოქმედებათა შეწყვეტა,მაგრამ ისრაელი აგრძელებდა შეტევას. 10 ივნისს ისრაელის არმია სირიის მიმართულებით დაიძრა და დაიკავა გოლანის მაღლობები. იმავე დღეს სსრკ-მა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ხოლო კრემლი-თეთრი სახლის „ცხელი ხაზით" საბჭოთა პრემიერმა კოსიგინმა არაორაზროვნად განუცხადა აშშ-ის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს: „თუ ომი გსურთ, თქვენ მას მიიღებთ"[25]. ჯონსონმა ამცნო საბჭოთა მხარეს, რომ ისრაელი ცეცხლის დაუყონებლივ შეწყვეტის მომხრეა და არ აპირებს დამასკოზე შეტევას თუ გოლანის მაღლობები ისრაელისთვის უსაფრთხო გახდებოდა. იმავდროულად, ჯონსონმა გასცა განკარგულება სირიის ნაპირებთან აშშ-ის მეექვსე ფლოტის დისლოკაციის შესახებ. შეიქმნა უაღრესად კრიტიკული სიტუაცია. ისრაელი და სირია რამდენიმე საათში შეთანხმდნენ ომის შეწყვეტაზე.

1967 წლის ომი არაბული კოალიციის სრული მარცხით დასრულდა. ისრაელის ხელში გადავიდა იერუსალიმის არაბული ნაწილი, სინაის ნახევარკუნძული, ღაზას სექტორი, მდ.იორდანიის დასავლეთ ნაპირი და გოლანის მაღლობები. პალესტინელი ლტოლვილების რაოდენობამ 400 000 მიაღწია. ამასთან ისრაელმა ფორმალურად

[25] Bernard Reich, A Brief History Of Israel,second edition, 2005, გვ. 237.

დაიცვა 1949 წლის დაზავების „მწვანე ხაზი“. ისრაელის დიპლომატია ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილს დღემდე განიხილავს, როგორც სადავო სივრცეს. გამარჯვებულის მთავარ მონაპოვარს ებრაელი ერის უძველესი კერა - იერუსალიმი წარმოადგენდა. გარდა ამისა, ისრაელმა ხელთ იგდო საბჭოთა კავშირის მიერ არაბებისთვის მიწოდებული დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა, რომლის გამოყენებაც არაბებმა ვერც კი მოახერხეს. ყველაფერი ეს ახლო აღმოსავლეთში 1967 წლის ივნისის ექვსი დღის ომის შედეგებია. უახლეს ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა,რომ ასე მოკლე პერიოდსა და ლოკალურად პატარა მასშტაბის კონფლიქტს, ასეთი ხანგრძილივი და გლობალური შედეგები გამოეწვია[26].

სამხედრო გამარჯვებამ არ მოუტანა მშვიდობა და უსაფრთხოება არც ისრაელს და არც რეგიონს. მთავარ პრობლემად ისრაელისათვის იქცა ის, თუ რა უნდა ექნა დაკავებული ტერიტორიისათვის. ამ ფართობის შეერთება ისრაელის სახელმწიფოსთან მკვეთრად შეცვლიდა ეთნოდემოგრაფიულ ბალანსს არაბების სასარგებლოდ იმის გამო, რომ იქ მრავალრიცხოვანი არაბული მოსახლეობა ცხოვრობდა.

ამიტომ დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სექტორის ანექსირება ისრაელს ოფიციალურად არ მოუხდენია და იქაურ არაბებზე ისრაელის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა.

უშუალოდ „ექვსდღიანი ომის“ შემდეგ ისრაელის ელიტის უმცირესობა იმ აზრისა იყო, რომ ახლად დაპყრობილი ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე შემქნილიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო, რაც გაეროს 1947 წლის რეზოლუციის ნაწილობრივი შესრულება მაინც იქნებოდა[27], მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, როგორც ისრაელის ხელისუფლებისა და ხალხის განწყობა, ისე არაბული ქვეყნების კეთილი ნება.

1967 წლის 2 სექტემბერს ქალაქ ხართუმში ჩატარებულმა არაბული ქვეყნების ლიგის კონფერენციამ მოსპო მორიგების შესაძლებლობა, როდესაც დაადგინა „სამი არა“ (არა ისრაელის ცნობას,არა-მოლაპარაკებას ისრაელთან, არა მშვიდობას ისრაელთან). იმ პერიოდში, ახლად განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ, არაბებისაგან ძნელი

[26] Oren, MiChael B., Six Days of War. June 1967 and the making of the modern middle east, 2004, გვ. 12.
[27] Bernard Reich, A Brief History Of Israel, second edition, 2005, გვ. 46.

წარმოსადგენი იყო სხვაგვარი გადაწყვეტილება, თუმცა ის აშკარად ეწინააღმდეგებოდა საღ აზრს.

არაბული ქვეყნების ლიგას 35 წელი დასჭირდა, რომ ბეირუთში ჩატარებულ სამიტზე მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ 1967 წლის საზღვრები პალესტინის არაბული სახლემწიფოსათვის საკმარისი იქნებოდა.

„ექვსდღიანი ომის“ ერთ-ერთი არაპირდაპირი საგარეო პოლიტიკური შედეგი იყო იემენის სამოქალაქო ომის დამთავრება. ისრაელთან დამარცხებულმა ეგვიპტემ ვეღარ გააგრძელა რესპუბლიკელების სამხედრო დახმარება და გამოიყვანა იემენიდან თავისი 50-ათასიანი არმია.

ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ 1967 წლის 5 ივნისს გაჩაღებული აგრესია ისრაელის მმართველი წრეების ექსპანსიონიზმის მუდმივი ზრდის ლოგიკური გაგრძელება, უწინარეს ყოფლისა, ამერიკის იმპერიალიზმზე ქვეყნის დამოკიდებულების პირდაპირი შედეგი იყო. ომი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელმა მოულოდნელად გააჩაღა. იგი იყო ხანმოკლე, თითქმის ელვისებული, მაგრამ ე.წ ექვსდღიანი ომი მზადდებოდა წინასწარ, რამდენიმე წლის მანძილზე და არა მარტო თელ-ავივის მიერ. იგი იგეგმებოდა ვაშინგტონთან მჭიდრო კოორდინაციაში. შეერთებულმა შტატებმა უზრუნველყო იგი მორალურად და მატერიალურად.

მართალია, ვაშინგტონისა და თელ-ავივის მთავარი მიზანი რეგიონში პროგრესული რეჟიმის დამხობა, მიუღწეველი დარჩა, აგრესორებმა და მისმა მფარველებმა ვერ შეძლეს განეხორციელებინათ კიდევ ერთი სტრატეგიული მიზანი, რომელსაც ისინი ისახავდნენ გაეწყვიტათ არაბული ქვეყნების მეგობრული კავშირები საბჭოთა სახელმწიფოსთან, მაგრამ, ისრაელმა „ექვსდღიან ომში“ დაიპყრო სამი არაბული ქვეყნის ტერიტორია, კერძოდ მთელი სინას ნახევარკუნძული (56 ათასი კვ.კმ), მდ. იორდანის დასავლეთი ნაპირი (5,5 ათასი კვ.კმ), და ღაზას სექტორი (258 კვ.კმ), გოლანის მაღლობები (დაახლოებით 1 ათასი კვ.კმ), და იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილი, სულ 60 ათასზე მეტი კვ. კმ ტერიტორია. ამით ისრაელმა დაასრულა მთელი იმ ტერიტორიის ოკუპაცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური

ასანმბლეის რეზოლუციით არაბული სახელმწიფოს შესაქმნელად იყო გამოყოფილი. პალესტინის არაბ ხალხს წაერთვა თავისი სამშობლო.

არაბულ ქვეყნებზე თავდასხმის გეგმები აგებული იყო მოულოდნელობისა და ელვისებული დარტყმის მომენტის გამოყენებაზე. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით აგრესორის, ამჯერად ისრაელის უპირატესობა „ბლიცკრიგისას“ ცხადი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კაირო და დამასკო თელ-ავივიდან დაშორებულია შესაბამისად 400 და 200 კილომეტრით, ანუ თანამედროვე თვითმფინავის 20 და 10 წუთის საფრენით, ხოლო მანძილი თელ-ავივიდან იორდანიის დასავლეთით საზღვრამდე სულ 17 კილომეტრს შეადგენს. აქედან გასაგებია, ახლო აღმოსავლეთის პირობებში თავდამსხმელი მხარე სტრატეგიული ხასიათის აშკარა უპირატესობებს ღებულობს.

ეგვიპტეზე თავდასხმის ბრძანება გაიცა 5 ივნისს, დილის ექვს საათზე გრინვიჩის დროით.[28] გაზეთ „ჯერუზალემ პოსტის“ მოწმობით, სამხედრო ოპერაციები ასე განვითარდა: „დაახლოებით დილის 8 საათზე ორშაბათს, 5 ივნისს, ისრაელის საჰაერო ძალები მზად იყვნენ გასვლისათვის. ისრაელის პრაქტიკულად ყველა თვითმფრინავი, რომელთაც შეეძლოთ ფრენა და ბომბების, ტყვიამფრქვევის წაღება, ჰაერში ამ დილით აფრინდნენ. უკვე რამდენიმე საათის შემდეგ ისრაელს შეეძლო ეცნობებინა 400 ეგვიპტური თვითმფრინავის განადგურების შესახებ. დაიწვა ეგვიპტის ყველა თვითმფრინავი. იორდანიისა და სირიის ავიაციის დიდი ნაწილის განადგურება დროის მცირე მონაკვეთში მოხდა.[29] ფრანგული გაზეთ „ფიგაროს“ სიტყვებით, მას შემდეგ, რაც ისრაელმა შეძლო მწყობრიდან გამოეყვანა მოწინააღმდეგის ავიაცია, იგი შეუდგა მეორე ეტაპის განხორციელებას - ხმელეთზე შეტევას, მოულოდნელი თავდასხმის უპირატესობის გამოყენებით.[30] არმია სინაზე პრაქტიკულად საჰაერო საფარის გარეშე დარჩა. ეს საბედისწერო აღმოჩნდა ეგვიპტის ტანკებისათვის, რომლებიც მანევრებს აკეთებდნენ უდაბნოში და ჰაერიდან მუდმივი იერიშის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეგვიპტის შემდეგ ისრაელის მთელი სამხედრო მანქანა წარიმართა იორდანიის, შემდეგ კი სირიის

[28] The Juresalem Post,Long line of Israeli-Palestinian Peace Bids precede, Thomson Reuters, June 25,2019. გვ.2
[29] The Juresalem Post,Long line of Israeli-Palestinian Peace Bids precede, Thomson Reuters,June 25,2019. გვ.3
[30] Le Figaro,Retour sur … La cohue provoquée par Brigitte Bardot à Cannes en 1967, Chloé Friedmann, Le 10 Mai 2018 გვ.5

წინააღმდეგ. ვარაუდი, რომელიც მდგომარეობდა ამ ქვეყნების (ეგვიპტე, იორდანიისა და სირიის) განცალკევებაში, და მათი ერთმანეთისაგან იზოლირებულად დაპირისპირებაში აგრესორის მთელი სამხედრო სიძლიერისადმი, გამართლდა მხოლოდ „ბლიცკრიგის“ სტრატეგიის წყალობით[31].

ისრაელის პრესის მონაცემებით, ეგვიპტეს, სირიასა და იორდანიას (47 მილიონი მოსახლით) გააჩნდა შეიარაღებული ძალები შესაბამისად 210 ათასი, 65 ათასი და 50 ათასი ადამიანი, ისრაელს კი - 2,7 მილიონი მოსახლით, ადრე მობილიზებული და საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში მყოფი თითქმის 300 ათასიანი არმია[32].

ისრაელი ომს აწარმოებდა ყოვლად გაუმართლებელი სისასტიკით, იყენებდა, მაგალითად, ნაპალმს ეგვიპტის არმიის წინააღმდეგ, რომელიც მოკლებული იყო მხარდაჭერასა და დაცვას ჰაერიდან და პრაქტიკულად, უდაბნოს პირობებში, არ ჰქონდა რაიმე ბუნებრივი თავშესაფარი ხმელეთზე. არაბმა კომუნისტებმა, რომლებმაც მოგვიანებით გაანალიზეს 1967 წლის ივნისის ომის მარცხის მიზეზები, აღნიშნეს, რომ ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს გააჩნდა პირველხარისხოვანი, ყველაზე თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, რომელიც შეიძლებოდა ეფექტიანად გამოყენებულიყო ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ეს თანამედროვე იარაღი უხეიროდ გამოიყენეს, დაბალი იყო სამხედრო ხელმძღვანელობის დონე, იყვნენ საეჭვო და მოღალატე ელემენტები[33].

ამ მხრივ, აღსანიშნავია, ეგვიპტის ვიცე-პრეზიდენტ მარშალ ამერის ირგვლივ თავმოყრილი ცალკეული გენერლები და უმაღლესი ოფიცრები. ისინი გამოდიოდნენ ნასერის მიერ განხორციელებულ პროგრესულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა წინააღმდეგ. მათთვის უცხო იყო რევოლუციის მიზნები, ამიტომ ისინი არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მისი მედგარი დამცველნი. სიმართლეს შეიცავდა ეგვიპტის სინამდვილის ღრმა მცოდნის, ინგლისელი მწერლის, ჟეიმს ოლდრიჯის აღიარება, რომ ამერიკის ხელმძღვანელობით მემარჯვენე ოფიცრების დიდ ჯგუფს სურდა ომში ეგვიპტის

[31] Беляев И. П. Денъ седмой, как денъ первий… М., 1979. გვ. 35.
[32] Шеидин Л. Империалистический заговор на Ближнем Востоке. Комунист, N11, 1967, გვ. 108.
[33] Проблемы мира и социализма, N9, 1968, გვ. 43.

დამარცხების გამოყენება, ნასერის თავიდან მოცილება, არაბული რევოლუციის იდეაზე ხელის აღება და ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის ძირეული შეცვლა, რათა შეთანხმებოდნენ შეერთებულ შტატებს[34]. სწორედ ისინი შეადგენდნენ იმ პოტენციურ „მეხუთე კოლონას“ ეგვიპტეში, რომელზედაც იმედს ამყარებდნენ აგრესორები და მათი მფარველები.

ისრაელის აგრესიის დაწყებამდე, ორი კვირით ადრე პრეზიდენტი ნასერი იყო ერთ-ერთ სამხედრო აეროდრომზე. კაიროს ყველა გაზეთმა მეორე დღეს გამოაქვეყნა მფრინავებთან პრეზიდენტის საუბარი. გაზეთებში დაბეჭდილ ფოტოსურათებზე ბევრი მათგანი საფრენ კოსტუმში იყო გამოწყობილი, ხელში მუზარადით. მხილველნი აღნიშნავენ, რომ ყოველ 15 წუთში რომელიმე მფრინავი დგებოდა და პრეზიდენტისაგან ითხოვდა გასვლას, რათა შედგომოდა მორიგეობას ჰაერში. მაგრამ 5 ივნისს დილით ისრაელის თავდასხმისას აეროდრომზე არავითარი მორიგეობა არ იყო[35].

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ეგვიპტის ჯარმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია აგრესორს, ბრძოლის ველზე გამართულ მდგომარეობაში დატოვა პირველი კლასის საბრძოლო ტექნიკის დიდი რაოდენობა. საერთოდ ისრაელის ჯარმა ხელთ იგდო და გაანადგურა ეგვიპტის 800 ტანკი, რომელთანაც 300 სრულად ან ნაწილობრივად იყო გამართული, სწორედ მემარჯვენე ოფიცრების დანაშაულით ეგვიპტის მთელი საყრდენი პუნქტები მტერს დაუტოვეს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. არც ის არის შემთხვევითი, რომ სინას ნახევარკუნძულზე ისრაელმა ტყვედ იგდო 21 ეგვიპტელი გენერალი და სამი ათასზე მეტი ოფიცერი. ამას ემატებოდა ისიც, რომ არ არსებობდა მოქმედებათა კოორდინაცია არაბულ არმიებს შორის.

ამის საწინააღმდეგოდ ისრაელს ჰქონდა კარგად გამართული სამხედრო მანქანა.

აგროსორის სასარგებლოდ იმოქმედა არაბული სახელმწიფოების მიერ ისრაელის შესაძლებლობათა შეუფასებლობამაც.

ისრაელის 1967 წლის ივნისის აგრესიის მატერიალურ ბაზას აშშ-ის უდიდესი საფინანსო-ეკონომიკური და სამხედრო დახმარება წარმოადგენდა. გასაკვირი როდია,

---

[34] Олдридж Д. Каир. Биографиа города. М., 1970, გვ. 281-282.

[35] Беляев И. Колесниченко Т., Приманков Е. „Голуб” спущем. М., 1968, გვ. 65-66.

რომ აგრესიის დაწყების წინ ისრაელმა შეძლო შეექმნა კარგად შეარაღებული და მომზადებული 300 ათასიანი არმია.[36] მთავარი კი ის იყო, რომ თელ-ავივში დარწმუნებულნი იყვნენ ისრაელის ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა მიმართ ვაშინგტონის კეთილმოსურნე დამოკიდებულებაში. ისრაელის მთავრობამ, წერს ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი არაბისტი დესმონ სტიუარდი, იცოდა, რომ როდესაც ისრაელი გააჩაღებს აგრესიას, იგი ,"მხარდაჭერას შეხვდება ვაშინგტონის წრეებში, თუ ომი სასიკეთოდ წარიმართა, ხოლო თუ საქმენი ფრონტზე ცუდად წავიდა, მაშინ იყო იმის გარანტია, რომ უკიდურესი საშიშროების პირობებში მის დასახმარებლად მივიდოდა ამერიკის მე-6 სამხედრო ფლოტი". ცნობილია, რომ ივნისის ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე ისრაელში ჩავიდა სხვადასხვა სამხედრო სპეციალობის ათასამდე ამერიკელი მოხალისე, რომელთაგან ორასმა უშუალო მონაწილეობა მიიღო სამხედრო მოქმედებებში არაბული ქვეყნების წინააღმდეგ[37].

ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ვაშინგტონმა ეგვიპტის მიმართ სამხედრო სიძლიერის პირდაპირი დემონსტრაცია განახორციელა. 3 ივნისს ამერიკის ავიამზიდი „ინტერპიდი" სუეცის არხით გავიდა, მე-6 ფლოტი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს.

სიონისტურ ჟურნალ „ჯუიშ ობზერვერ ენდ მიდლ ისტ რევიუს" ფურცლებზე ნიქსონის მთავრობაში თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პაკარდიმ ახალი კრედო გამოაცხადა: „ჩვენ უნდა მივცეთ ან მივყიდოთ მათ (ისრაელებს) შეიარაღება, აუცილებელი იმისათვის, რომ შეძლონ იმ დიდი ტვირთის ზიდვა, ჩვენ მათ რომ ავკიდეთ"[38].

რა იყო ეს „ტვირთი" და როგორ „ამუშავებდნენ" მას სიონისტები, მოუთხრო ეი-ბი-სი-ს ამერიკის სატელევიზიო კორპორაციისადმი 1977 წლის 22 მაისს მიცემულ ინტერვიუში „ლიკუდის" ბლოკის ლიდერმა მ. ბეგინმა: „ექვსი წლის მანძილზე (ლაპარაკია 1967 წლიდან 1973 წლამდე პერიოდზე), როდესაც ჩვენს ქვეყანას ეკავა პოზიციები სუეცის

[36] Time, 50 Years Ago This week: The looming Crisis of the Six-Day war, Lily Rothman, June 5, 2017, გვ.4

[37] Беляев И. П. Денъ седмой, как денъ первий, 1979, გვ. 93.

[38] Jewish Observer and Middle East Review, Nixon and Israel: Forging a Conservative Partnership,Noam Kochavi, January 2009, გვ.2.

არხის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ცოტათი როდი დავეხმარეთ თქვენს ქვეყანას, გადაგარჩინეთ რა შეირაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობის ახალი დანაკარგებისაგან. თქვენ მაშინ მონაწილეობდით ვიეტნამის ომში, ჩვენ კი ვაიძულებდით საბჭოთა კავშირს გაეგზავნა იარაღითა და საბრძოლო მასალით დატვირთული თავისი გემები ტონკინის ყურეში კეთილი იმედის კონცხის შემოვლით, ამ არსებულთაგან ყველაზე გრძელი საზღვაო გზით, და ამით ტვირთის მიტანის ვადა მთელი 16 დღით იზრდებოდა. და ასე იყო ექვსი წლის მანძილზე. შეგიძლიათ გამოიანგარიშოთ რა რაოდენობის იარაღი და საბრძოლო ტექნიკა გადაურჩა მტრების ხელში ჩაგდებას“[39]. სხვა სიტყვებით, 1967 წლის ისრაელის აგრესია, რომლის შედეგად მთელი ექვსი წელი შეწყვეტილი იყო გემთმიმოსვლა სუეცის არხში, იყო აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ თელ-ავივის ოკეანისგაღმელ მფარველთა საამებლად.

ომის დამთავრებიდან ნახევარი წლის შემდეგ ისრაელის გაზეთი „მაარივი“ წერდა: „შეერთებული შტატებისათვის ნათელი გახდა, რომ მას არა ჰყავს უფრო უკეთესი და უფრო ერთგული პარტნიორი, ვიდრე ისრაელია“[40]. ამერიკაში სრულად შეაფასეს ისრაელის როლი. ამის თაობაზე ამერიკული ყოველკვირეული „ი.ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ 1967 წლის სექტემბერში წერდა: „ისრაელმა საკუთარ თავზე აიღო ამერიკის შეერთებული შტატების როლი ახლო აღმოსავლეთში“[41].

ისრაელისა და მის იმპერიალისტ მფარველთა მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი დარჩა. მათ ვერ მიაღწიეს პროგრესული რეჟიმების დამხობას ეგვიპტესა და სირიაში.

არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე ისრაელის აგრესიისადმი პრინციპული და თანმიმდევრული პოზიცია საბჭოთა კავშირმა დაიკავა. იგი გადაჭრით გამოვიდა არაბი ხალხის დასაცავად, რომელთაც ისრაელის აგრესია განიცადეს. საბჭოთა კავშირთან ერთად ისრაელთან

---

[39] Jewish Observer and Middle East Review, Nixon and Israel: Forging a Conservative Partnership,Noam Kochavi, January 2009, გვ.3.

[40] Maariv, Six Days of War. June 1967 and the making of the modern middle east, MiChael B., 2004. გვ. 15.

[41] U.S. News and World Report, 50 years After Race Riots, Issues Remain The Same,Kenneth T. Walsh, July 12,2017, გვ.2

დიპლომატიური ურთიერთობა გაწვიტა ექვსმა სოციალისტურმა ქვეყანამ. 1967 წლის 9 ივნისის „სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების განცხადება „პირდაპირ გაფრთხილებას" შეიცავდა იმის შესახებ, რომ „ისრაელის აგრესიის გაგრძელების შემთხვევაში მიღებული იქნებოდა ყველაზე უკიდურესი ზომები"[42], ხოლო 1967 წლის 21 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში „საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით", მოცემული იყო ამ კონფლიქტის პოლიტიკური შეფასება და ხაზგასმული იყო, რომ „ისრაელის აგრესია საერთაშორისო იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის ყველაზე რეაქციულ ძალთა შეთქმულების შედეგია" და „მებრძოლი იმპერიალისტური წრეების პოლიტიკის საერთო ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლია"[43], რომლებიც ცდილობდნენ, ხელი შეუშალონ ისტორიულ პროგრესს.

საბჭოთა მთავრობამ მიაღწია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების მიღებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 1967 წლის 22 ნოემბერს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია N242. რეზოლუციის მთელ რიგ ფორმულირებათა განუსაზღვრელობის მიუხედავად, მის ქვაკუთხედ პუნქტს წარმოადგენს ისრაელის ჯარების გამოყვანა ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან[44].

ეხებოდა რა საბჭოთა კავშირის პოზიციას, ეგვიპტის პრეზიდენტი გ. ნასერი მოგვიანებით ამბობდა: „როდესაც ვიგონებთ მეგობრებს, რომლებიც ჩვენს გვერდით იყვნენ 1967 წლის ჩვენი გამოცდისა და უბედურების შავბნელ დღეებში, ჩვენ ვამბობთ, რომ პირველი ასეთი მეგობარი, ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი და ჩვენი უსაზღვრო მადლიერების ყველაზე ღირსეული, იყო საბჭოთა კავშირი. 1967 წლის 11 ივნისს მე მივიღე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმედი დაკარგული, რომ საბჭოთა კავშირი ყველა საშუალებით დაგვეხმარება, მოგვამარაგებს უფასო შეიარაღებით, აანაზღაურებს იმას, რაც ჩვენ

[42] Правда, 10 йюня 1967 года.
[43] Правда, 22 йюня 1967 года.
[44] Палестинская проблема. Документи ООН, междунароных организаций и конференций, прогресс, 1984. გვ. 157-158.

დავკარგეთ ბრძოლებში სინაზე. ეს დახმარება ჩვენი შეიარაღებული ძალების აღდგენის ქვაკუთხედი გახდა“[45].

საბოლოო ჯამში, არაბულ ქვეყნებში მოხდა ის, რაც არამც თუ არ შედიოდა დასავლეთის გეგმებში, არამედ, პირიქით, ეწინააღმდეგებოდა მას: საბჭოთა კავშირის პოზიციები არაბულ აღმოსავლეთში განმტკიცდა, დასავლეთის ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი და გავლენა კი დაეცა. მრავალმა არაბულმა სახელმწიფომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა აშშ-თან და ინგლისთან[46]. ნავთობის ექსპორტიორმა არაბულმა ქვეყნებმა დროებით შეუწყვიტეს ნავთობის მიწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს და ისრაელის მხარდამჭერ ზოგიერთ სხვა დასავლეთის ქვეყნებს.

შეერთებული შტატები კრიზისის დასაწყისიდანვე პრაქტიკულად მხარს უჭერდა ისრაელის მიერ არაბული მიწების ოკუპაციას და არავითარ ნაბიჯს არ დგამდა მისი ჯარების გამოყვანის დაჩქარებისათვის. ვაშინგტონის სტრატეგია იყო, ერთი მხრივ, ისრაელის დახმარებით არაბულ ქვეყნებზე სამხედრო ზემოქმედების გაგრძელება. მეორე მხრივ, მშვიდობისაკენ არაბული ხალხების მიწრაფვების გამოყენება საკუთარი ანგარებიანი მიზნებისათვის. ომით შანტაჟი და სპეკულაცია მშვიდობაზე- ასეთი იყო ამერიკის დიპლომატიის გენერალური ხაზი. ამასთან ერთად ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ნასერი ისრაელთან სეპარატული „მშვიდობის“ მიღწევის შესაძლებლობაში ამერიკის შუამავლობით. მაგრამ იგი ეგვიპტის ლიდერმა გადაჭრით უკუაგდო. „ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის პრობლემა სრულიად არ დაიყვანება მარტო სინადან ისრაელის ჯარის გაყვანამდე- განაცხადა ნასერმა 1968 წლის 25 აპრილს კაიროს უნივერსიტეტის ყველაზე დიდ დარბაზში თავმოყრილი სტუდენტების, მასწავლებლებისა და ეგვიპტის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ტაშის გრიალში, - საქმე მარტო ამაში რომ იყოს, შედეგის მიღწევა ხვალვე შეიძლებოდა დათმობის გზით... მაგრამ აქ საქმე ხომ ჩვენს ბედს ეხება, ყველა არაბის ბედს ეხება. სინას განთავისუფლებისათვის საჭირო იქნებოდა ამერიკა-ისრაელის პირობების მიღება,

[45] Насер Г. А. Проблемы египетской революции. Избранные речи и вытупления, გვ. 239
[46] Демченко П. Арабский в час испытаний. М., 1967.

ისრაელისათვის იერუსალიმის, იორდანიის დასავლეთ ნაპირისა და სხვა არაბული ტერიტორიის საჯიჯგნად მიცემა... აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია გაცილებით დიდია, ვიდრე სინას განთავისუფლება“. ტაშისცემის დაცხრომის შემდეგ ნასერმა გააგრძელა: „საქმე ეხება შემდეგს: დავრჩებით თუ არა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ თუ გავლენის სფეროში აღმოვჩნდებით. ნუთუ ჩვენ მზად ვართ უარი ვთქვათ თავისუფლებაზე? ჩვენ მონაპოვრებზე? ჩვენ არასდროს დავთანხმდებით ისრაელთან მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ პრობლემის ისეთი მოგვარებისათვის, როგორც ეს სურთ ვაშინგტონსა და თელ-ავივს“[47].

მაშინ, როდესაც დასავლეთის წრეებმა არაბებზე ზემოქმედების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მეთოდები გამოიყენეს, საბჭოთა კავშირმა ყოველმხრივი დახმარება გაუწია არაბულ ქვეყნებს, რათა მათ გაეძლოთ და უკუეგდოთ ისრაელისა და მის ზურგს უკან მდგარ სახელმწიფოთა სამხედრო პროვოკაციები, საკმარისია ითქვას, რომ 1972 წლის დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით ეგვიპტეში აიგო ან იგებოდა 137 სამრეწველო და სხვა ობიექტი, თანამშრომლობის განვითარების წყალობით შეიქმნა ინდუსტრიის სრულიად ახალი დარგები- ჩარხმშენებლობა, საინსტრუმენტო, ქიმიკო-ფარმაცევტული. საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის თანამშრომლობის სიმბოლო გახდა ასუანის კაშხალი, თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საბჭოეთის დახმარებას ეგვიპტის თუ სხვა რომელიმე ქვეყნის მიმართ, ყოველთვის საფუძვლად ედო მისივე ინტერესები გაეფართოვებინა გავლენის სფეროები მათივე ხარჯზე.

საბჭოთა კავშირის დახმარება ნათლად გამოვლინდა 1973 წლის ოქტომბრის ისრაელ-არაბეთის ომის დროსაც[48].

ჯერ კიდევ 1970 წლის აპრილში ისრაელის პრემიერ-მინისტრი გ.მეირი იძულებული იყო ეღიარებინა: „რუსეთმა შეუვსო ნასერს(ეგვიპტე) ყველაფერი რაც ომში(1967 წლის ივნისი) დაკარგა“[49]. მ. ჰეიკალი 1971 წლის 21 მაისს ამბობდა: „საბჭოთა კავშირი ჩვენი სამხედრო სიძლიერის ერთადერთი წყაროა. მე გულღიად და პირდაპირ

---

[47] Насер Г. А. Проблемы египетскои революции, გვ. 194.

[48] ციციშვილი ა., ახლო აღმოსავლეთი: ორი მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი. თბ. 1986, გვ.49.

[49] Горбатов О.М. Черкасский Л.Я. Боръба СССР за обеспечение прочного мира на Ближнем Востоке(1967-1980). М. 1980, გვ. 263.

ვაცხადებ, იგი რომ არა, ჩვენ გამარჯვებულთა პირობების მიღების გარდა სხვა არჩევანი არ გვექნებოდა“[50].

საბჭოთა კავშირმა ეგვიპტესთან და სირიასთან საჰაერო ხიდები დაამყარა და ამ გზით უმოკლეს ვადაში შეავსო მათი არმიების დანაკარგი შეიარაღებაში, მოამარაგა ისინი ყოველივე აუცილებლით აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ეგვიპტისა და სირიის შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა წარმოების იარაღით აღჭურვილთ, შეუძლიათ წარმატებით დაიცვან თავიანთ ხალხების სასიცოცხლო ინტერესები. სწორედ საბჭოთა კავშირის იარაღის წყალობით ეგვიპტისა და სირიის არმიებმა 1973 წლის ოქტომბრის სამხედრო მოქმედებათა დროს გაფანტეს მითი ისრაელის სამხედრო მანქანის „უძლეველობის“ შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ეგვიპტის შეიარაღებულ ძალთა განმტკიცებაში ჰქონდა ამ ქვეყანაში რამდენიმე წლის მანძილზე მომუშავე საბჭოთა სამხედრო მრჩევლების საქმიანობას. დასაწყისში ჯერ პრეზიდენტ გ. ნასერის თხოვნით, შემდეგ პრეზიდენტ ა. სადათის დასტურით გაგზავნილი საბჭოთა სამხედრო მრჩევლები დაეხმარნენ ეგვიპტის არმიას თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის დაუფლებაში. 1970 წლის ოქტომბერს სსრკ-ეგვიპტის მოლაპარაკებათა მსვლელობაში ა. სადათმა განაცხადა: „ჩვენი ხალხის, შეიარაღებულ ძალთა, არაბთა სოციალისტური კავშირებისა და მთავრობის ხელმძღვანელობის სურვილებისა და ნების საფუძველზე მე შეიძლება მოვითხოვო ამ პერსონალის გაზრდაც კი“[51]. და მიუხედავად ამისა, 1979 წლის ივლისში იმავე ა.სადათმა დააყენა საკითხი ეგვიპტეში საბჭოთა სამხედრო სპეციალისტთა მისიის ვადამდე დასრულების შესახებ. ეს იყო გ. ნასერის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის საგარეო პოლიტიკისა და საერთოდ არაბულ სამყაროში მემარჯვენე, პროიმპერიალისტურ ძალთა გააქტიურების შედეგი.

ამერიკის შეერთებული შტატები 1973 წლის ოქტომბერის ომის დროს არ შემოიფარგლა ისრაელის აგრესიისადმი მარტო მატერიალური მხარდაჭერით.

[50] Горбатов О.М. Черкасский Л.Я. Борьба СССР за обеспечение прочного мира на Ближнем Востоке(1967-1980). გვ. 45.
[51] Правда, 19 февраля 1977 года.

შეერთებულმა შტატებმა ისრაელს 2,2 მილიარდი დოლარის სასწრაფო დახმარება მიაწოდა[52], გამოაცხადა თავისი სტრატეგიული ძალების საბრძოლო მზადყოფნა საბჭოთა კავშირის მისამართით მუქარის სახით, რომელიც მხარს უჭერდა არაბულ სახელმწიფოთა მოქმედებებს.

ამრიგად, 1967 წლის „ექვსდღიან ომს“ ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან შეცვალა მთელი რეგიონის გეოპოლიტიკური ბალანსი და დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზე.

[52] Современная внешняя политика США, в дух томах. Т, 1. 1985, გვ. 383.

თავი III. „იომ-ქიფურის ომი“

3.1. „იომ-ქიფურის ომის“ მიმდინარეობა

1970 წელს ნასერის გარდაცვალების და ანვარ სადათის გაპრეზიდენტების შემდეგ, ეგვიპტის საგარეო პოლიტიკა შეიცვალა, სადათმა კურსი აიღო აშშ-თან დაახლოებაზე. თუმცა, ისრაელმა სამხედრო გამარჯვების პოლიტიკურ წარმატებად გარდაქმნა მაინც ვერ შეძლო. საბჭოთა კავშირმა ისრაელთან ურთიერთობა გაწყვიტა. 1970 წელს ნასერის სიკვდილით არაბული ნაციონალიზმის ეპოქა დასრულდა. ამან კი, ერთი მხრივ, მოლაპარაკებებს გაუღო კარი, მეორე მხრივ, ფუნდამენტალიზმს გაუხსნა გზა. გენერალმა სადათმა სინაის ნახევარკუნძულის დაბრუნება გადაწყვიტა, რისთვისაც საბჭოთა კავშირზე უფრო გავლენიანი მოკავშირის ძებნა დაიწყო. 1972 წლის 18 ივლისს, ნაციონალური პოლიტიკის გატარებაზე აპელირებით, სადათმა 20 000 საბჭოთა სამხედრო მრჩევლის ეგვიპტიდან გაძევების განკარგულება გასცა, რითაც სასურველი მოკავშირის, აშშ-ის გული მოიგო. 1973 წლის 6 ოქტომბერს იომ-ქიფურის (ყველაზე მნიშვნელოვანი ებრაული დღესასწარული) დღეს, ეგვიპტისა და სირიის ჯარები საომარ მოქმედებებზე გადავიდნენ. ომის დაწყებიდან ორი დღე-ღამის განმავლობაში უპირატესობა ეგვიპტე-სირიის მხარეს იყო. მოულოდნელი თავდასხმით დაბნეულმა ისრაელის არმიამ დიდი დანაკარგი განიცადა, თუმცა მალევე მოეგო გონს, ინიციატივას დაეუფლა და გამანადგურებელი დარტყმები აგემა მტერს. სირიელები სრულიად განდევნა გოლანის მაღლობებიდან, ხოლო სინაის ნახევარკუნძულიდან ლამის კაირომდე მიაღწია.

ისრაელთა ჯარებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, პირველ რიგში, მათ უნდა გადაელახათ სირიელთა მიერ დანაღმული ტერიტორიები, თუმცა ფერმერებისათის დატოვებული ვიწრო გასასვლელები დაეხმარათ ამ პრობლემის მოგვარებაში. ჰოფვის რწმენა გაამტკიცა ჩრდილოეთის იერიშის წარმატებამ. არსებობდა აზრი, რომ დამასკოს გზაზე სირიელთა დამარცხება იოლი იყო, თუმცა ამ უკანასკნელს არ იაზრებდა და ეთანხმებოდა ლანერის ჯარების ხელმძღვანელები. ბიერმანი ფიქრობდა, რომ მათი გეგმა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და პოლკოვნიკ სარიგს აცნობა ამის შესახებ. თუმცა ბრიგადის ხელმძღვანელს სჯეროდა, რომ სირიელები მორალურად

გატეხილები იყვნენ და ვერ შეძლებდნენ სათანადო წინააღმდეგობის გაწევას. ტანკებს სწრაფად უნდა ემოძრავათ. ჯარის დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ მათი იერიში წარმატებული იქნებოდა.[53] იერიში სირიელების მხრიდან ცეცხლის გახსნით დაიწყო. ბიერმენის კოლონა გზას გაუდგა, თუმცა ეს გზა ჩახერგილი იყო, ხოლო ტავორის ტანკების უმეტესობა სირიელების იერიშის შედეგად დაზიანდა. ბოლოს ბიერმანმა და რამდენიმე ტანკის ხელმძღვანელმა თავის დაღწევა მოახერხეს, იერიში მიიტანეს სირიის პოზიციებზე და მიუახლოვნენ ხან-არნაბეს სანგარს. სირიელებმა მათი არტილერისტი მოკლეს, ხოლო ბიერმანი და მისი მტვირთავი დაიჭრნენ. მიუხედავად ერაყელთა ტანკების დაუნდობელი განადგურებისა, მათმა გამოჩენამ მთლიანად შეცვალა სტრატეგიული სიტუაცაია. ებრაელთა ჯარს უნდა შეეცვალა გეზი და აღარ გაეგრძელებინა გზა ჩრდილო-აღმოსავლეთით დამასკოს მიმართულებით. ისინი მტერს უნდა გამკლავებოდნენ, რომელიც სამხრეთის მხრიდან უახლოვდებოდათ. ერაყელთა საბრძოლო ხელოვნებამ ებრაელებზე შთაბეჭდილება ვერ მოახინა. ეითანის აზრით, მათი ბრძოლისუნარიანობა სირიელებზე გაცილებით დაბალი იყო. თუმცა ერაყელებთა რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. მათი მოულოდნელი გამოჩენა ბრძოლის ველზე ყოველგვარი წინასწრი დაგეგმვის გარეშე შთამბეჭდავი მანევრი იყო, რამაც მთლიანად შეცვალა დამასკოსკენ წასვლის ებრაელთა გეგმა. რამდენიმე დღეში ერაყელთა მხრიდან მოსალოდნელი იყო დამატებით 500 ტანკი, 700 საბროოლო აღჭურვილობის მანქანა და 30 000 ჯარისკაცი, მათ შორის დივერსიულ-სადესანტო ბრიგადები. ეს ის ძალა იყო, რომელიც საკუთარი შესაძლებლობით ისრაელის ჯარის სამხრეთ ფრონტს უტოლდებოდა. უკვე ბრძოლისაგან დაქანცული სირიელებისსგან განსხვავებით, ერაყელები ძალით აღსავსე და საბრძოლოდ შემართულნი იყვნენ. ისრაელის მხრიდან კონფრონტაციამ მათი ენთუზიაზმი გააქრო, თუმცა მათი მასიური განლაგება ისრაელის ჯარისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. სირიელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჰომის გზა გაათავისუფლეს, თუმცა სიფრთხილეს ინარჩუნებდნენ.

[53] აბრაამ რაბინოვიჩი, ,,იომ ქიფურის ომი“, თბ.2007, გვ.437

13 ოქტომბერს ღამეს, ელაზარის ინსტრუქციის თანახმად[54], დესანტ-პარაშუტისტების ბრიგადამ იერიში მიიტანა თელ-შამსზე. ეს შეტევა წარმატებით დამთავრა და მსხვერპლიც მხლოდ ოთხი ჯარისკაცი იყო. იმავე ღამეს გოლანზე განლაგებული საარტილერიო ბატალიონის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ ალდო ზოჰარს უბრძანეს, იერიში განეხორციელებინა მაზეჰის აეროპორტზე, დამასკოს მახლობლად და არ დალოდებოდა თელ-შამსის იერიშის შედეგებს.

ზოჰარმა ბრძანება მიიღო დამასკოში მათი გეგმის შესრულების შესახებ. ბორძოლის წინა ხაზთან მისაღწევად ზოჰარი კიდვე ერთელ შევიდა ლეჯაში. მის მიზანს ხუთი სამხედრო და სამთავრობო სტრუქტურა წარმოადგენდა, მაგრამ ეს სამიზნეები ერთით შემცირდა, რადგან ის ძალიან ახლოს იყო ებრაელთა კვარტლათან. ის-ის იყო მიუახლოვნენ ბრძოლის ადგილს, რომ მისიის გაუქმების შესახებ მიიღებს ბრძანება. თელ-ავივში პოლიტიკური ელიტა, განსაკუთრებით კი გოლდა მეირი აკონტრორებლდა სიტუაციას, რაც განპირობებული იყო ან საბჭოთა რეაქციის, ან სირიელთა მხრიდან ისრალიეს ქალაქების საპასუხო დაბომბვის შიშით.

ცხადი გახდა, რომ სირიაზე იერიში დასრულებული იყო. ერაყელთა დამხმარე ჯარის გამოჩენის შემდეგ, ისრაელს აღარ შესწევდა ძალა წინააღმდეგობა გაეწია სირიის ჩრდილოეთის ფრონტისათვის. ასევე მოსკოვმა აცნობა ვაშინგტონს, რომ ისრაელის ჯარების დამასკოსთან მიახლოება მორიგ საფრთხეს წარმოადგენდა. საბჭოთა ჯარები მობილიზებლი იყვნენ, დაიანმა საბჭოთა მუქარა სერიოზულად მიიღო. სირიელებს საკმაო დრო ჰქონდათ თავიანთ პოზიციების გასაუმჯობელესბლად. მათი მთავარი მიზარი იყო ჰერმონის განთავისუფლებაა. მაგრამ დადგა დრო ყურადღება ეგვიპტის ფრონტზე გადაეტანათ. ამ ადგილზე შესაძლებელი იქნებოდა სტრატეგიული მდგომარეობის დაკავება, რადგან სწორედ სინაში იყო ისრალის ყველაზე შეუპოვარი მტერი.

22 ოქტომბერს, გაერომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუცია მიიღო, რომელიც მომდევნო დღეს შესრულდა. ისრაელის გამარჯვებაში არაბული სამყარო აშშ-სა და დასავლეთ ევროპას ადანაშაულებდა. შედეგად, ნავთობის არაბმა

[54] აბრაამ რაბინოვიჩი, ,,იომ ქიფურის ომი“, თბ.2007, გვ.450

ექსპორტიორებმა ამ ქვეყნებს ემბარგო დაუწესეს. ნავთობზე ფასმა კატასტროფულად იმატა, რამაც ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკა რეცესიის ზღვარზე მიიყვანა. ისრაელმა ეს კრიზისი იმხანად მის კონტროლქვეშ მყოფი სინაის ნახევარკუნძულის ნავთობის რეზერვების გამოყენებით დასძლია.

დამარცხების მიუხედავად არაბები თვლიდნენ რომ „იომ-ქიფურის ომი“ ისრაელისა და მისი მოკავშირეებისათვის სერიოზული გაფრთხილება იყო. ისრაელის მიერ დაკავებული ტერიტორიების მკვიდრი ურიცხვი პალესტინელი მუდამ შეუქმნიდა საფრთხეს ებრაულ სახელმწიფოს. ამიტომ, ებრაული ულტრამემარჯვენე სექტორები, რომელთაც რელიგიური ფუნდამეტნალისტებიც შეუერთდნენ „პალესტინელთა იორდანიის გადაღმა გადასახლებაზე“ ალაპარაკდნენ.

ომის მომდევნო წლების პოლიტიკური განვითარება, რომელსაც სერიოზული გეოპოლიტიკური შედეგი მოჰყვა, ომის ფსიქოლოგიურ ეფექტსაც ეყრდნობოდა. ომის შედეგად შეიქმნა ერთგვარი სამხედრო წონასწორობის შთაბეჭდილება. როგორც ეგვიპტე, ისე ისრაელი ამ ომს მოგებულად თვლიდა. ეგვიპტელებისათვის და ზოგადად არაბებისათვის ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ პირველად დაინახეს გაქცეული ისრაელის ჯარისკაცები. მითი ისრაელის არმიის უძლეველობის ამით გაიფანტა. ეგვიპტეში ამ ომს საგანგებო მუზეუმიც კი მიუძღვნეს.

გამარჯვებულის იმიჯმა საკუთარ ქვეყანაში ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათს გაუადვილა გადაწყვეტილების მიღება, პირისპირ შეხვედროდა ისრაელის პრემიერ მინისტრს ენეხემ ბეგინს. ეს ისტორიული შეხვედრა შედგა იერუსალიმში 1977 წლის 19 ნოემბერს. სადათის ეს გადაწყვეტილება მთლად იმპულსური ვერ იქნებოდა.

1978 წლის სექტემბერში პრეზიდენტ ჯიმი კარტერის შუამავლობით კემპ-დევიდში ჩატარდა მოლაპარაკება, ხოლო 1979 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, ისრაელმა რამდენიმე ეტაპად გაათავისუფლა სინას ნახევარკუნძული; აღდგენილ იქნა ეგვიპტესთან 1948 წლამდე არსებულ საზღვარი (პალესტინის ღაზას სექტორი,რომელსაც 1948-1967 წლებში კონტროლს უწევდა ეგვიპტე, ხოლო 1968 წლიდან - ისრაელი, ამ უკანასკნელის კონტროლქვეშ დარჩა); სინას ნახევარკუნძული დემილიტარიზებულ იქნა, იქ გაეროს „ცისფერჩაფხუტიანთა“ კონტიგენტი იქნა

ჩაყენებული, რომელთა შორის უმრავლესობა ამერიკელია. სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან ისრაელს რეალური საფრთხე მოეხსნა. ეგვიპტემ, პირველმა არაბული ქვეყნებიდან, ცნო ისრაელის სახელწიფო და სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან.

ისრაელისათვის ეს უდიდესი დიპლომატიური მიღწევა იყო: არაბულმა ქვეყანამ, თანაც უდიდესმა, პირველად ცნო ისრაელის არსებობის უფლება. იქამდე ისრაელს ახლო აღმოსავლეთში ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ თურქეთთან, კვიპროსთან და ირანთან. მაგრამ 1979 წლის თებერვალში ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად მოსულმა რეჟიმმა გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა ისრაელთან. ეგვიპტესთან ურთიერთობის დამყარება, საელჩოების გაცვლა ისრაელისათვის გარკვეული კომპენსაცია იყო ისლამურ სამყაროში ირანის სტრატეგიული პარტნიორობის დაკარგისათვის.

ეგვიპტესათვის მნიშვნელოვანი იყო სინას ნახევარკუნძულის (თავისი ნავთობსარეწებითურთ) დაბრუნება. გარდა ამისა, ეს ქვეყანა ამერიკის საგარეო დახმარების სიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ადგილზე მოექცა: ყოველწლიური ამერიკული დახმარება,რომელიც 21-ე საუკუნის დასაწყისში ორ მილიარდ დოლარს აღწევდა, საშუალებას აძლევდა ეგვიპტეს, შეექმნა თანამედროვე არმია, გარკვეულად დაეფარა საბიუჯეტო დეფიციტი. ზემოაღნიშნულმა დიპლომატიურმა ნაბიჯმა (ისრაელის ცნობამ) და ამერიკულმა დახმარებამ საბოლოოდ გამოიყვანა ეგვიპტე საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდან და ის პროდასავლურ ქვეყნად აქცია(ეს არ ნიშნავს, რომ იქ ამიერიდან დასავლური ფასეულობანი ან დასავლური ტიპის დემოკრატია გავრცელდა).

მართალია, ურთიერთობა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის,განსაკუთრებით ალ-აკსას ინთიფადას დაწყების შემდეგ უფრო ცივ მშვიდობას მოგვაგონებს, მაგრამ საზღვარი მათ შორის მშვიდობიანია.

3.2. „იომ-ქიფურის ომის“ გეოპოლიტიკური შედეგები

1967 წელს დაპყრობილი არაბული ტერიტორიების ანექსიის ისრაელის ხელმძღვანელობის კურსმა და არაბეთ-ისრაელის კონფქლიქტის მოწესრიგებისადმი ნებისმიერი ფორმის კონსტრუქციულ მიდგომაზე მისმა უარმა მიგვიყვანა ახალ სამხედრო აფეთქებამდე 1973 წლის ოქტომბერში. ოქტომბრის ომის დაწყება, მსვლელობა და პოლიტიკური შედეგები მკვეთრად განასხვავებს მას ყველა ადრინდელი ომისაგან, რომელსაც ისრაელი არაბულ ქვეყნებთან აწარმოებდა.

დაეყრდნენ რა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერას, არაბულმა სახელმწიფოებმა 1973 წლის ოქტომბრის ომის დროს გაფანტეს მითი „ისრაელის არმიის უძლეველობის“ შესახებ.

1973 წლის ოქტომბრის სამხედრო მოქმედებათა მსვლელობა სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე 1967 წლის ომისა. ეგვიპტისა და სირიის შეიარაღებულმა ძალებმა მთელი რიგი სერიოზული დარტყმა მიაყენეს აგრესორს, რომელმაც ტანკების, თვითმფინავებისა და ცოცხალი ძალის დიდი დანაკარგი განიცადა, კერძოდ ისრაელმა დაკარგა 900 ტანკი (ტანკთა საერთო რაოდენობის 40%), 250 საბრძოლო თვითმფრინავი (თვითმფრინავთა საერთო რაოდენობის 50%)[55], საინტერესოა შემდეგი სტატისტიკა: 1965 წელს ეგვიპტის წინააღმდეგ ომის დროს ხუთი დღის განმავლობაში ისრაელმა დაკარგა 189 კაცი მოკლულთა სახით, ტყვედ ჩავარდა ერთი მფრინავი. 1967 წლის „ექვსდღიანი ომის“ შედეგად ისრაელმა დაკარგა 973 კაცი, ევიპტელებმა ხელთ იგდეს 14 ისრაელელი ტყვე. 1973 წლის ოქტომბრის საომარი მოქმედებებისას, ოფიციალური მონაცემებით, ისრაელმა დაკარგა მოკლულთა სახით 2838 სამხედრო მოსამსახურე (მათ შორის 25% ოფიცრები იყვნენ), 8800 ჯარისკაცი დაიჭრა, ხოლო 500 ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ ჩავარდა[56]. ეს ოფიციალური,შემცირებული ცნობებიც კი საკმაოდ დიდია სამმილიონიანი ქვეყნისთვის. ამერიკელი ჟურნალისტ ჯეიმს რესტონის აღიარებით, ისრაელის ადამიანთა დანაკარგი გამოიხატა შემდეგ შეფარდებაში: ერთი 494 მცხოვრებზე, ეგვიპტისა კი ერთი

[55] Примаков Е. М. Четвертая арабо-израильская война..Проблемы Мира и социализма, 1973, N12, გვ. 39.
[56] Горбатов О.М. Черкасский Л.Я. Борьба СССР за обеспечение прочного мира на Ближнем Востоке (1967-1980). გვ. 83-84.

6000 მცხოვრებზე[57]. სულ 18-20 დღიანი ომის საერთო ზარალი ისრაელის ეკონომიკისათვის შეფასებულია 17 მილიარდ დოლარად.

საბჭოთა კავშირმა აქტიურად გამოიყენა 70-იანი წლების დასაწყისის დაძაბულობის შენელების ვითარება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საქმის წინ წასაწევად. ასეთი მოწესრიგების მიღწევის პოლიტიკური მექანიზმის სახით იგი განიხილავდა ჟენევის სამშვიდობო კონფერენციას, რომელიც 1973 წლის დეკემბერში გაიხსნა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანათავმჯდომარეობით ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. ეს იყო არაბეთ-ისრაელის სამხედრო კონფრონტაციის 25 წლიანი პერიოდის მთელ მანძილზე პირველი სამშვიდობო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის თაობაზე[58].

ჟენევის კონფერენციის მოწვევის მნიშვნელობა,უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა,რომ მისი სახით იქმნებოდა ყველა დაინტერესებული მხარის კოლექტიური ღონისძიებების პოლიტიკური მექანიზმი ახლო აღმოსავლეთის პრობლემების ყოვლისმომცველი მოგვარების შემუშავების მიზნით. ასეთი მოწესრიგების საკვანძო მომენტის სახით უნდა ყოფილიყო 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ქვეყნიდან ისრაელის ჯარის გამოყვანის ნათელი და გარკვეული ვალდებულება. მას აგრეთვე უნდა უზრუნველეყო ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს სურვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემა და დაეცვა პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები.

1973 წლის ოქტომბრის კონფლიქტის შემდგომმა პერიოდმა კვლავ და კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენა ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარებისადმი ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო მიდგომის არსებობა: პირველი იყო აშშ-ის ხაზი, მიეღწია გაჭიანურებული ვითარების ნორმალიზაციისათვის ამ რეგიონში, დაბრკოლება შეექმნა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის რადიკალური მოგვარებისათვის, შეეცვალა იგი ნაწილობრივი, სეპარატული კრიზისის მოგვარებაში მონაწილეობისაგან, შეესუსტებინა მისი პოზიციები ამ რაიონში; მეორე ხაზი იყო საბჭოთა კავშირისა, რომელიც

[57] Дмитриев Е. Ладейкин В. Путь к миру на Ближнем Востоке, 1974, გვ. 215.
[58] Вощенков К. П. СССР в борьбе за мир. Международные конференции 1944-1974 гг. 1975, გვ. 207-209.

ითვალისწინებდა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ყოვლისმომცველ მოგვარებას ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ჩათვლით. რა თქმა უნდა, თავისთავად ისეთი ნაწილობრივი ღონისძიებანი, როგორიცაა ისრაელი ოკუპანტის წასვლა დაპყრობილი არაბული ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილიდან და მათი არაბებისათვის დაბრუნება სასარგებლოა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნებოდა ნაბიჯი ნამდვილი მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

აშშ-ის შუამავლობით 1974 წლის 18 იანვრისა და 1975 წლის 4 სექტემბრის ისრაელ-ეგვიპტის შეთანხმებანი ჯარების ურთიერთდაშორიშორების შესახებ სინას ნახევარკუნძულზე პასუხობდა, უწინარეს ყოვლისა, ისრაელისა და აშშ-ის ინტერესებს. ასე, მაგალითად, 1975 წლის 4 სექტემბრის შეთანხმების მეორე სტატია მოითხოვდა ორივე მხარის ვალდებულებას უარი ეთქვათ ძალისა თუ ძალის მუქარის გამოყენებაზე, აგრეთვე არ მიემართათ სამხედრო ბლოკადისათვის ერთმანეთთან ურთიერთობაში. სინამდვილეში ეს იმას მოასწავებდა, რომ ხელმოწერილმა შეთანხმებამ ეგვიპტის ნეიტრალიზება მოახდინა, გამოთიშა იგი ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარებისათვის შემდგომი ბრძოლისაგან. მიღწეულ იქნა შეთანხმება ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების ახალი დისლოკაციის შესახებ. ეგვიპტემ ივალდებულა სუეცის არხით გაეტარებინა არასამხედრო ტვირთი ისრაელისათვის და ისრაელიდან მომავალი. ისრაელმა ეგვიპტეს დაუბრუნა სინას ნახევარკუნძულზე ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილი, მათ შორის ნავთობით მდიდარი აბუ-რუდაისის რაიონი, აგრეთვე ორი უღელტეხილი -მიტლა და დიგი.

ეგვიპტისთვის ისრაელის ტერიტორიულ „დათმობათა“ მცირე მასშტაბებზე მარტო იმის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ხელშეკრულებით ჯარების გაყვანის შემდეგ ისრაელის ოკუპაციის ქვეშ განუსაზღვრელი ვადით რჩებოდა სინას ნახევარკუნძულის ტერიტორიის 90 %-მდე.

სინას შეთანხმების შედეგად მოხდა ეგვიპტის ნეიტრალიზაცია და ისრაელის სამხედრო ზემოქმედების გადატანა სირიასა და იორდანიაზე. ამან მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვლად შეცვალა. ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდი

არმია ეგვიპტისა იყო. ხელშეკრულებით ამ არმიას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო სამხედრო მოქმედებაში ისრაელის წინააღმდეგ. მაშასადამე, ისრაელის პოტენციალურ მოწინააღმდეგეებად რჩენობდნენ სირია და იორდანია.

ამრიგად, სინას შეთანხმების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: მან ეგვიპტე გამოიყვანა ისრაელთან სამხედრო კონფრონტაციიდან და იგი დაუპირისპირა ყველა სხვა არაბულ ანტიისრაეულ კოალიციას. ამასთან ერთად მან იმპულსი მისცა სადათის ახალ სეპარატულ გარიგებებს. შეთანხმებამ ნება დართო ისრაელის ტვირთის გადაზიდვას სუეცის არხით, მაშინ როდესაც ისრაელი აგრძელებს არაბული ტერიტორიების, მათ შორის სინას დაპყრობილი ტერიტორიის 87 პროცენტის, აგრეთვე გოლანის მაღლობებისა და იერუსალიმის ნაწილის ოკუპირებას. შეთანხმება ითვალისწინებს უარს საკითხის მოგვარების სამხედრო საშუალებებისაგან, მაშინ როდესაც ეს ხალხთა ძირითადი კანონიერი უფლებაა აგრესორის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გათავისუფლებისათვის. შეთანხმების მოქმედება უვადოა, იგი ითვალისწინებს ამერიკელების არსებობას სინაზე და ბოლოს, ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების ძირითად პრობლემას- პალესტინის არაბი ხალხის პრობლემას შეთანხმება არც კი ეხება.

მოვლენების მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ამ რაიონში შეუძლებელია იყოს და არც იქნება მშვიდობა მანამ, ვიდრე არ აღმოიფხვრება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის წარმომშობი მიზეზები - ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაცია, პალესტინელი არაბი ხალხისათვის განუყოფელ უფლებათა წარმართვა, საომარი მდგომარეობის გაგრძელება. აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირმა 1976 წლის 2 სექტემბერს მიმართა ახლო აღმოსავალეთის კონფლიქტში უშუალოდ ჩაბმულ ყველა მხარეს, ჟენევის სამშვიდობო კონფერენციის ყველა მონაწილეს მოწოდებით მისი მუშაობის განახლების შესახებ, რაც მოიცავდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების ყველა საკვანძო ასპექტს. იგი ითვალისწინებს კონფლიქტში უშუალოდ ჩაბმული ყველა მხარის - არაბული სახელმწიფოების, პალესტინის არაბი ხალხის, ისრაელის სახელმწიფოს კანონიერ უფლებებს და ინტერესებს.

1973 წელს, დავიდ ბენ-გურიონი გარდაიცვალა, ისრაელმა ნათლად შეიგრძნო, რომ ამ პიროვნებასთან ერთად გაქრა რწმენით აღსავსე მოწინავეთა გმირული სულისკვეთება, რითაც ებრაული სახელმწიფო ყალიბდებოდა. სამხედრო ძლიერებით მოგვრილი ამპარტავნობა, ეკონომიკური წინსვლა, მოჭარბებული მომხმარებელობა და მზარდი რელიგიური ფუნდამენტალიზმი მემარჯვენე ტენდენციების წახალისებას იწვევდა ებრაელ საზოგადოებაში. ძველი „ჰაგანა“, რომელიც ებრაელთა იატაკქვეშა სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენდა, 1967 წელს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ ჟანდარმერიად გადაიქცა. შეიცვალნენ პალესტინელებიც. ისინი, ერთი მხრივ, იასირ არაფატის ხელმძღვანელობით საერთაშორისო პოლიტიკის ფართო ასპარეზზე გავიდნენ, მეორე მხრივ, მშვიდობის დამყარების მრავალგზის წარუმატებელი მცდელობით დაღლილებმა რელიგიურ ფუნდამენტალიზმს მიმართეს. ამ პროცესს ისიც ამძაფრებდა, რომ პალესტინელ ხალხს, რომელსაც თვითგამორკვევისა და ტერიტორიულ საკითხში საერთაშორისო საზოგადოეობა გულწრფელ, ლეგიტიმურ მხარდაჭერას უცხადებდა, ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე ჯგუფების აქტივობის წყალობით, საკუთარი უფლებები სულ უფრო მეტად ეზღუდებოდა. ებრაელი ფანატიკოსის მიერ იცხაკ რაბინის მკვლელობით (1995) და საფრანგეთში იასირ არაფატის საეჭვო გარდაცვალებით (2004) ისრაელისა და პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებებს სამუდამოდ გამოეთიშა პროცესის წარმმართველი ორი ავტორიტეტული ფიგურა. ცნობილია, რომ 1967 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად, ებრაელებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაუყონებლივ უნდა გაეყვანათ ჯარები, თუმცა, ისრაელმა ეს დადგენილება არ შეასრულა. ახლო აღმოსავლეთის დრამას ბოლო არ უჩანდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ძველი ლეიბორისტული ფორმულა „ტერიტორიების დაბრუნება მშვიდობის სანაცვლოდ: ჩავარდა, ისრაელის ტრადიციულმა მემარცხენე პარტიებმა გავლენა დაკარგეს. მემარჯვენე ნაციონალისტური და რელიგიური პარტია, რომელიც „დიდ ისრაელზე“ ოცნებობდა, მიხვდა, რომ შანსი ეძლეოდა. 1977 წლის 17 მაისის არჩევნებში არაბული ქვეყნებიდან ჩამოსული ყველაზე ღატაკი ებრაელების უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა და ხმათა უმრავლესობით მენახებ ბეგინმა

გაიმარჯვა. ანვარ სადათის (ეგვიპტის პრეზიდენტი) ქნესეთში (ისრაელის პარლამენტი) მისვლამ საოცარი შედეგი გამოიღო: ეგვიპტესთან მშვიდობა დამყარდა; ამაში მემარჯვენე ბეგინსაც მიუძღოდა წვლილი, ამ „სასწაულის“ მატერიალიზება კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინა.

1978 წლის 17 სექტემბერს, კემპ-დევიდის საპრეზიდენტო რეზიდენციაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის ზედამხედველობით მენახემ ბეგინმა და ანვარ სადათმა სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერა ხელი. შეთანხმების თანახმად, ისრაელის მხარე სინაის ნახევარკუნძულს დატოვებდა და ამ ორ ქვეყანას შორის დამყარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები. ყველა არაბული ქვეყანა, ასევე, საბჭოთა კავშირი, სადათს პალესტინის ღალატში ადანაშაულებდა და ამტკიცებდა, რომმან იერუსალიმი სიონიზმს შესწირა. 1981 წლის 6 ოქტომბერს, სადათი თავდასხმის მსხვერპლი გახდა. 1981 წლის 30 ივნისს გამართულ არჩევნებში ბეგინმა მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ეგვიპტის პრეზიდენტის პოსტზე ანვარ სადათი ჰოსნი მუბარაქმა შეცვალა, რომელიც ქვეყანას გაცილებით მკაცრი ხელით მართავდა. ისრაელსა და ეგვიპტეს შორის დადებული სამშვიდობო შეთანხმება, რასაც ამერიკის მხრიდან სრული მხარდაჭერა მოჰყვა, სიზუსტით და მკაცრად იქნა დაცული.

დასკვნა

ამგვარად, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა, თუმცა ყველაზე მეტად საჭირო, ვიდრე ოდესმე. ერაყის ომისა(1980-1988 წლები) და ოკუპაციის შემდგომ ამ რეგიონში არასტაბილურობამ იმატა: არაერთ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებები, ლიბანური გაზაფხულის მარცხი, არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში „ალქაიდას“ გააქტიურება, ირანში 2009 წლის ივნისის გაყალბებული არჩევნების შედეგად დაწყებული განმეორებით რეპრესიები, დიქტატორული რეჟიმების გამყარება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მშვიდობის დამყარებისათვის, შესაძლოა, გადამწყვეტი გამხდარიყო ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, პრეზიდენტ ბარაკ ობამას სიტყვით გამოსვლა ქაიროში(2009 წლის ივნისი), რაც დასავლეთს მუსლიმანურ სამყაროსთან შერიგებისთვის კარს უღებდა; მეორე მხრივ, დემოკრატიზაციის ტალღას, რომლის მაჯისცემაც 2011 წელს არაბულ სამყაროში მომხდარი აჯანყებების შემდგომ შეიგრძნობოდა, შესაძლოა, ეგვიპტის, სხვა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ურთიერთობაზე მოეხდინა გავლენა. ახლო აღმოსავლეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ახლებური მიდგომის და მეზობელ არაბულ ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების კომბინირებულმა მოქმედებამ, შესაძლოა, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი ჩაახშოს კიდეც და მშვიდობის დამყარებას შეუწყოს ხელი. სამშვიდობო პროცესის კონკრეტული შემთხვევები ცხადყოფენ ამ პროცესის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს: პრობლემის გადაჭრისადმი ეტაპობრივი მიდგომის მნიშვნელობას. 1978 წლის კემპ-დევიდის მაგალითი გვაჩვენებს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწეულ მოლაპარაკებას ბევრად უფრო საფუძვლიანი შედეგები მოაქვს, ვიდრე სწრაფ კონსენსუსს. ეკონომიკური ურთიერთკავშირი, გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორები გამორიცხავენ ისრაელსა და პალესტინას შორის ერთმანეთისაგან სრულ გამიჯვნას. აღსანიშნავია, რომ არაბულ-ებრაული დაპირისპირება დროთა განმავლობაში არ განელებულა. პირიქით, ის კიდევ უფრო სასტიკი და ულმობელი გახდა. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე დაპირისპირების აღმოსაფხვრელად და

მოსახლეობისათვის მშვიდობიანი გარემოს შესაქმნელად, კონფლიქტისგან დაღლილი პალესტინისა და ისრაელის ლიდერები შეძლებენ ორი მხარისთვის მისაღები კომპრომისის მიღწევას.

და ბოლოს, მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში ხანგრძლივი პროცესია. პროგრესი ხანდახან პატარა ნაბიჯებით იზომება - 1978 წლის კემპ-დევიდის სამიტიდან 1991 წლის მადრიდის კონფერენციამდე, შემდეგ 1993 წლის ოსლოს სამშვიდობო პროცესიდან, ვიდრე დღევანდელობამდე. მართალია, სამშვიდობო პროცესი მხოლოდ დროებით შეჩერდა, თუმცა, რადგანაც მას ორივე მხარისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ალბათ დადგება დღე, როდესაც აბრაამის შთამომავლები შეძლებენ ერთ მიწაზე მშვიდობიან თანაარსებობას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. **ბათოშვილი ა.,** ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1991.
2. **გაბაშვილი ვ.,** ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი: თუგ, 1957.
3. **გაჩეჩილაძე რ.,** ახლო აღმოსავლეთი: სივცრე,ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2003.
4. **თვალავაძე ვ.,** ახალი ისტორია, 1640-1815 წლები, ნაკვეთი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999.
5. **შალომ დავიდი,** თორის ხუთწიგნეული ქართულ ენაზე, თელ-ავივი: საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი, 1996.
6. **კალანდაძე მ.,** ინგლისის ისტორია, კულტურა,გეოგრაფია, გამომცემლობა „ატრანუჯი“, 2005.
7. **ლომაძე ნ., მენთეშაშვილი ა.,** ებრაელთა იმიგრაცია ისრაელში და არაბული საზოგადოება, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები, ტ.1, თბილისი,1993.
8. **ლომოური ნ.,** სიონიზმის აღმოცენება და განვითარება. - ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ.10, თბილისი, 2002, გვ. 254-265.
9. **ლომოური ნ.,** იერუსალიმი - მშვიდობის ქალაქი. - პერსპექტივა - XIX, N4, თბილისი, 2002, გვ.70-7.
10. **ლომოური ნ.,** მეფე ჰუსეინის პოლიტიკური პორტრეტი ისრაელ-იორდანიის სამშვიდობო მოლაპარაკებათა ფონზე. - ქართული დიპლომატია, წელიწლეული, ტ.11, ბილისი, 2003, გვ433-442.
11. **მელიქიშვილი გ.,** რედ. ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 1988.
12. **მენთეშაშვილი ა.,** საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000.
13. **მენთეშაშვილი ა.,** XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტკოსები და დიპლომატები, რედ. ლ. ალექსიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004.

14. **პაპასქირი თ.,** ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, 1914-1945, ნაკვეთი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.
15. **ულენტი კ.,** პალესტინა და პალესტინელები, „ნაკადურლი“, თბილისი, 1986.
16. **ციციშვილი ა.,** ახლო აღმოსავლეთი: ორი მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი, რედაქტორი ს. ცინცაძე, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986.
17. **ხონელიძე ნ.,** ბალფურის დეკლარაცია დოკუმენტის 80 წლისთავის გამო. - ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ.5, თბილისი, 1990.
18. **ხონელიძე ნ.,** ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია - 1948 წლის 14 მაისი (დოკუმენტის შექმნის ისტორიისათვის). - ვალერიან გაბაშვილი 90. თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის გამომცემლობა, 2003.
19. **ხონელიძე ნ.,** სამანდატო პალესტინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გეოპოლიტიკური ინტერესების ფოკუსში (1945-48); საერთაშორისო ურთერთობების იმანენტურ ნიშან-თვისებათა გამოსავლენად. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტური, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი,თბილისი 2005.
20. **ჯაფარიძე თ.,** სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხეშლეკრულებები 1993-1999), ტ.7, თბილისი: თუგ, 2000, გვ. 264-300.
21. **ჯაფარიძე თ.,** დეკლარაცია პალესტინის დროებით თვითმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების შესახებ. - ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ.5, თბილისი,1998.
22. **ჯაფარიძე თ.,** სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში. (ისრაელისა და პალესტინის ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში). - ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ.7, თბილისი, 2000, გვ. 264-299.
23. **რაბონოვიჩი აბრაამ,** ,,იომ-ქიფურის ომი“. მთარგმნელები: არჩილ ახალკაციშვილის, რატი ჭკადუა, ნათია ნადირაძე; თბ. ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2007.

24. **Беляев И.** Колесниченко Т., Приманков Е. „Голуб” спущем. М., 1968.

25. **Беляев И.** Денъ седмой, как денъ первий… М., 1979.

26. **Вощенков К. П.** СССР в борьбе за мир. Международные конференции 1944-1974 гг. 1975.

27. **Демченко П.** Арабский в час испытаний. М., 1967.

28. **Дмитриев Е.** Ладейкин В. Путь к миру на Ближнем Востоке, 1974

29. **Лакер, В.,** Историа Сионизма, Москза, 2000.

30. **Насер Г. А.** Проблемы египетской революции. Избранные речи и вытупления.

31. **Олдридж Д**. Каир. Биографиа города. М., 1970.

32. **Палестинская проблема.** Документи ООН, междунароных организаций и конференций, Прогресс, 1984.

33. **Тума Эмилъ**, Сионизм крупным планом, москва, 1985.

34. **Anu-Nimer,Mohamed**, oslo peace Building in Postsettlement : Challenges for Israeli and Palestinina Peace Educators, 1993.

35. **Bernard Reich(ed.)** „Arab-Israeli Conflict and Conciliation: A Documentary History”, Praeger 1995.

36. **Bernard Reich,** A Brief History Of Israel, second edition, 2005.

37. **David Mayers,** Wars an Peace, Houndmills, Basingstoke, Hapmshire: Macmillan press, 1998.

38. **Farsoun, samih k.** ,Zacharia,chrisina e., Palestine and the Palestinians,west view press, 1997.

39. **Herzl, Theodor,** „The Jewish state“, 1986.

40. **Kissinger, Henry,** Diplomacy, New York, USA, 1994.

41. **Oren, MiChael B.,** Six Days of War. June 1967 and the making of the modern middle east, 2004.

42. **Smith, Charles D.,** Palestine and the Arab-Israeli Conflict, Boston: Bedford/St. Martin’s, 2001.

43. **Weizman, ezer,** the battle for peace, bantam books, London, 1981.

44. **Краткая Еврейская Энциклопедия**. 1976, т. 1.

45. **Современная внешняя политика США**, в дух томах. Т, 1, 1985.

ჟურნალ-გაზეთები:

46. **Jewish Observer and Middle East Review,** Nixon and Israel: Forging a Conservative Partnership,Noam Kochavi, January 2009, გვ.2

47. **Time**, 50 Years Ago This week: The looming Crisis of the Six-Day war, Lily Rothman, June 5, 2017, გვ.4

48. **Maariv,** Six Days of War. June 1967 and the making of the modern middle east, MiChael B., 2004. გვ. 15

49. **U.S. News and World Report**, 50 years After Race Riots, Issues Remain The Same,Kenneth T. Walsh, July 12,2017, გვ.2

50. **The Juresalem Post**,Long line of Israeli-Palestinian Peace Bids precede, Thomson Reuters, June 25,2019. გვ.2

51. **Le Figaro,**Retour sur … La cohue provoquée par Brigitte Bardot à Cannes en 1967, Chloé Friedmann, Le 10 Mai 2018 გვ.5

52. **Abu Toameh, Khaled**, City of rage, Jerusalem dispatch, „The New Republic Online", July 31, 2000

53. **Abu-Arm, Ziad, hamas**: A Historical and Political Background, „journal of Palestine Studies" 2, 4 Summer 1993.

54. **Brom Shlomo,** Palestinian State – A security Threat?, Strategic Assessment", Vocule 3, No. 2 september 2000.

55. **Spiegel steven,** the other arab-israeli colflict, Chicago, university of Chicago press, July 12,1985.

56. **Beilin Yossi**, Israel: A Concise Political Histori, st. martin's press, new yourk, 1992.

57. **Farsoun samih k.** ,Zacharia,chrisina e., Palestine and the Palestinians,west view press, September 15,1997.

58. **Правда,** 10 йюня 1967 года.

59. **Правда,** 22 йюня 1967 года.

60. **Проблемы мира и социализма**, журнал, 1968, N9.

61. **Проблемы мира и социализма,** журнал, 1977, N 6.

ვებგვერდები:

62. http://www.aljazeera.com/indepth/features/2017/06/50-years-israeli-occupation-longest-modern-history-170604111317533.html

63. http://www.israel-palestina.info/arab-israeli_conflict-html/

64. https://www.hrw.org/world-report/2016/country-chapters/israel/palestine

65. https://www.prospectmagazine.co.uk/world/gaza-is-israel-and-hamass-conflict-a-just-war

66. http://www.historyguy.com/israeli-palestinian_conflict.html#.WV0XF9SGPIU

67. https://www.britannica.com/event/Six-Day-War

68. https://www.aljazeera.com/indepth/features/2017/10/arab-israeli-war-of-1973-what-happened-171005105247349.html

69. https://www.britannica.com/event/Yom-Kippur-War

70. https://www.globalresearch.ca/the-arab-israel-war-of-1973-and-its-legacy/5612502

71. https://www.historynet.com/the-arab-israeli-war-of-1973-honor-oil-and-blood.htm

72. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09592310008423287

73. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/dr/97192.htm